პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 153 პარასკევი 6 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 153

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— ფინეთში გრძელდება კომუნისტური პარტიის დევნა.

— ამერიკაში გამოიგონეს ახალი თოფი, რომელიც წუთში 60 ტყვიას ისვრის.

საოკუპაციო ჯარმა რურის მცხოვრებთ კიდევ დაადო ჯარიმა 50 მილიარდი მარკა.

— ერთა ლიგის საბჭომ უარი განაცხადა შეიარაღების შემცირების საკითხის განხილვაზე.

— საარის საკითხი ჯერ გამოურკვეველია, რადგან ერთა ლიგას არ სურს მისი განხილვა.

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პროსპ. № 26. ტელეფ. № 5—43,

ივლისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	1.800.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	1.300.000
ერთი ეგზემპლიარი	75.000
იქვე მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ“-ზე თვიური ფასი შინ მიტანით	500.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივლისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 6—6

ჟურნალისტი
სრულიად რუსეთის განათლების მუშაკთა სამმართველოსთან არსებულ სრულიად რუსეთის ბეჭდვითი საქმის ცენტრალურ ბიუროს სექციის ორგანო.

ჟურნალი ემსახურება რუსეთისა და უცხოეთის განათლების საკითხებს, რუსეთისა და უცხოეთის ბეჭდვითი საქმისა და ლიტერატურის მუშაკთა ცხოვრებას.

გამოვიდა №№ 1, 2, 3, 4 და მე-5. ამ დღეებში გამოვა მეექვსე ნომერი.

შეკვეთა უნდა გაიგზავნოს პირდაპირ რედაქციაში შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ნიკიტის ბულვარი, სახლი № 8 რედაქცია „ჟურნალისტ“-ი; თითო ნომერი (გადაგზავნით) ღირს 1 მან. 50 კ. ჩერვონცებით, ფულის მიღების დღის კურსით.

ვინც 10 ცალზე მეტს გამოიწერს 10 პროც. დაეთმობა.
(5—1)

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს რაიკომებს და უჯრედებს, რომ დღეს 6 ივლისს

ერთიან პარტიულ დღის

წეს-რიგი თვითონ შეიმუშაონ.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ **რუბენი.**

ყოფილ მენშევიკების დღევანდელი კრება

დღეს, 6 ივლისს, როგორც ყოფილ მენშევიკების აქვე მოთავსებულ მოწოდებიდან გაიგებს მკითხველი, შესდგება ნაძალადევის ყოფილ მენშევიკების კრება.

ნაძალადევი—ეს მუშათა უბანია. ქალაქის ამ განაპირა რაიონში მუშაობენ და ცხოვრობენ რკინის გზის, რკინის გზის სახელოსნოების, არსენალის და სხვა წარმოებათა მუშები. ნაძალადევი ცენტრია თბილისის სამრეწველო პროლეტარიატის.

აქ ჩაისახა და ვითარდებოდა თბილისის მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა.

აქაურ მუშებში ბევრია ისეთები, რომელთაც დიდი ბრძოლა გადაუტანიათ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ბევრია ისეთები, რომელთაც ხანგრძლივი რევოლიუციონური სტაჟი აქვთ, ბევრია ისეთები, რომელიც შავი რეაქციის მძვინვარების დროს ციხეები და ხუნდები უგემნიათ, ან შორეული ციმბირის სუსხი და კატორღის ჯოჯოხეთური ტანჯვა თავიანთ ზურგზე განუცდიათ.

მათში ბლომად ურევიან მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრები.

აი, ეს რევოლიუციონურ ბრძოლაში გამობრძმედილი მუშები იკრიბებიან დღეს, რათა საჯაროდ გამოიტანონ განაჩენი იმ პარტიის შესახებ, რომელსაც ისინი წინედ ეკუთნოდნენ.

მათი სულიერი განწყობილება საკმაოდ გამორკვეულია, სხვათა შორის, იმ განცხადებების მიხედვითაც, რომელნიც იბეჭდებიან ადგილობრივ პრესაში. ჩვენ ამ თავითვე შეგვიძლია ვსთქვათ, თუ რანაირი იქნება მათი მსჯავრი მენშევიკური პარტიის შესახებ.

პირველი რაიონის ყოფილი მენშევიკ-მუშები დღეს მოახდენენ ამ პარტიის საჯარო გასამართლებას და ჯვარს დაუსვამენ მის არსებობას.

მენშევიკების „ცეკისტები“ დღემდე უსირცხვილოდ გამოდიან იმ პარტიის სახელით, რომელიც უკვე აღარ არსებობს, იმ პარტიის, რომლის წევრებმა მიატოვეს ის და დაგმეს მთელი მისი პოლიტიკა და მოქმედება, მიმართული რევოლიუციის და მშრომელი მასსების წინააღმდეგ.

მენშევიკების „ცეკისტები“ არიან აშკარა „სამოზვანცები.“ ჯერ ერთი, ისინი, როგორც თვითონ ყოფილი მენშევიკები აცხადებენ, ისინი არავის აურჩევია და მათთვის მენშევიკურ მასსას არ მიუნდვია მისი სახელით გამოსვლა.

შემდეგ, მენშევიკების ერთი მუჭა ავანტიურისტებს, ჩამოშორდა მთელი ის მასსა, რომელიც, წინედ გაუგებრობით თუ ინერციით მისდევდა მათ, და მათ არავითარი უფლება არა აქვთ მისი სახელით მოქმედების. მენშევიკების ცეკისტები არამც თუ არ გამოხატავენ ამ მასსის მისწრაფებებს, არამედ, პირიქით, ფეხქვეშ თელავენ მის ნებისყოფას და მათ სურთ მოახვიონ მას თავიანთი კონტრ-რევოლიუციონური ზრახვები.

ყოფილ მენშევიკებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბოლო მოუღონ მათი სახელით უსინიდისო სპეკულიაციას, რომელსაც ეწევიან მენშევიკური ცეკისტები.

ვერას გახდებიან ეს ვაჟბატონები მათი ყოფილი მიმდევრებზე დამუქრებით, მათი უწმაწური გინებით და მოღალატეებად მონათვლით.

გამოფხიზლებულმა მენშევიკურმა მასსამ კარგად იცის, თუ რას სჩადის, კარგად იცის, თუ ვინ არის მუშათა კლასის მოღალატე. მან საფუძვლიანად გაუსინჯა კბილი თავის ყოფილ მეთაურებს, საბოლოოდ დარწმუნდა მათ კონტრ-რევოლიუციონერობასა და გამცემლობაში და დაუბრუნდა რევოლიუციონურ მუშათა რაზმებს, ჩადგა საბჭოთა ხელისუფლების დამცველთა რიგებში.

ამ მასსის ერთი საუკეთესო ნაწილი, ხანგრძლივ რევოლიუციონურ ბრძოლაში გამოწრთობილი ყოფილი მენშევიკ მუშები პირველი რაიონისა, დღეს თავიანთ კრებაზე ერთხელ კიდევ გაკიცხავენ საქვეყნოდ მენშევიკების მეთაურების შავ საქმეებს, გამოაცხადებენ მენშევიკურ პარტიას გაუქმებულად და წაართმევენ მათი „არა მკითხე ოპეკუნებს“, მენშევიკების ცეკისტებს, თვითგამორკვეული მენშევიკური მასსის სახელის და ღირსების აბუჩად აგდების საშუალებას.

ეს იქნება საკადრისი პასუხი ყოფილ მენშევიკ მუშებისა მენშევიკების ზედაწრეების მიმართ იმ გამოუსყიდველი დანაშაულისათვის, რომელიც უკანასკნელებს მიუძღვით მშრომელი ხალხის წინაშე.

მოკლე განმარტება ამხ. ერქომაიშვილის წერილის გამო

ამხ. ერქომაიშვილი თავის ვრცელ წერილში „საგადასახადო პოლიტიკა და პერსპექტივები ამიერ-კავკასიაში“ (იხ. „კომუნისტი“ № 146), სხვათა შორის, ეხება ჩვენში არსებულ საგადასახადო პოლიტიკას და სწერს, რომ „საბჭოთა ხელისუფლების პირველი აქტი ამიერ-კავკასიაში პირდაპირ გადასახადების შემოღების საქმეში იყო—დეკრეტი საერთო სამოქალაქო გადასახადის შესახებ, გამოქვეყნებული ამა წლის მარტის 9-ს“-ო.

ამხ. ერქომაიშვილის წერილი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე, თითქოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს პირდაპირ გადასახადთა შემოღება დაწყებულიყოს 9 მარტს 1923 წელს.

ვნახოთ ეხლა, თუ რამდენათ სინამდვილეს უახლოვდება ამხ. ერქომაიშვილის განცხადება.

ყველას კარგათ ახსოვს, რომ საქართველოში საერთო სამოქალაქო გადასახადის შესახებ დეკრეტის გამოცემამდე არსებობდა შემდეგი პირდაპირი გადასახადები:

ა) სასარეწაო ბ) საშემოსავლო, გ) შრომის და ტვირთზიდვის, დ) სალერბო, ე) მემკვიდრეობით უსასყიდლოთ გადასულ ქონებაზე ბაჟი, ვ) სიმტკიცის ბაჟი და სხვა.

მაშასადამე, საქართველოში ჩვენ არ ვიმყოფებოდით საგადასახადო სისტემის პირველ საფეხურებზე, როგორც ეს ამხ. ერქომაიშვილს ჰგონია, პირიქით, მაგალითად, რუსეთთან შედარებით, ჩვენი სისტემა გაცილებით უფრო გაუმჯობესებული იყო.

ჩამოთვლა იმ მხარეებისა, რითაც ჩვენ გადასახადთა სისტემაში უპირატესობა გვქონდა რუსეთთან შედარებით, ძლიერ შორს წაგვიყვანდა და ამისთვის ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ერთი მაგალითით, სახელდობრ—შემოსავლის კვალობაზე გადასახადით.

როგორც ამხ. ერქომაიშვილსაც მოეხსენება, რუსეთში შემოსავლის კვალობაზე გადასახადით იბეგრებოდა არა შემოსავალი რომელიმე დაწესებულების ან პირისა, არამედ მისი ქონება ანუ მთელი ბრუნვა, მაშასადამე დაბეგვრის დროს იქ ადგილი ჰქონდა აუარებელ შეცდომებს და დეფექტებს, რომელთა მნიშვნელობა საგადასახადო პოლიტიკაში თვალსაჩინოა; ჩვენში-კი საშემოსავლო გადასახადით იბეგრებოდა არა ბრუნვა, არა ქონება, არამედ მოგება-შემოსავალი ამა თუ იმ დაწესებულებისა და კერძო პირისა. ამხ. ერქომაიშვილი დაგვეთანხმება, რომ საქართველოში არსებული შემოსავლის კვალობაზე დაბეგვრის სისტემა ფინანსიურ თეორიის თვალსაზრისით გაცილებით უფრო გაუმჯობესებულათ უნდა ჩაითვალოს, ვიდრე რუსეთში არსებული სისტემა.

და აი, ასეთ ქვეყანაში, სადაც საგადასახადო სისტემა შედარებით გაუმჯობესებული იყო, განზრახულ იქნა შემოეღოთ საერთო-სამოქალაქო გადასახადი, გადასახადი ტლანქი, „უშნო“ და მეტად „პრიმიტიული“ ფორმისა. (ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები თვით ამხ. ერქომაიშვილს ეკუთვნის ბ. ბ.). ჩვენ თავის დროზე ვცდილობდით ამ გადასახადისათვის უფრო გაუმჯობესებულ ფორმის მიცემას და ამ მიზნით 28 მარტს ა | ქ. ფინსახკომს წარუდგინეთ ჩვენი დასაბუთებული მოხსენება საერთო სამოქალაქო გადასახადების შესახებ და ვსთხოვდით მას ინსტრუქციის საშუალებით მაინც შესწორება შეეტანა გადასახადის ზოგიერთ მუხლებში, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა რა.

საერთო-სამოქალაქო გადასახადის აკრეფამაც „მძიმეთ ჩაიარა“.

პირდაპირ გადასახადების შესახებ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მკითხველს გავაცნოთ ზოგიერთი ციფრები სულ ახლო წარსულიდან, რომ ნათელვყოთ საგადასახადო აპარატის მოქმედება როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და აზერბეიჯანში.

ავიღოთ მაგალითისთვის 1922 წლის პირდაპირი გადასახადებისაგან შემოსავალი საქართველოსა, აზერბეიჯანსა და სომხეთში.

მთელი წლის განმავლობაში პირდაპირ გადასახადებიდან საქართველოში შემოსულა—1.107.499 მან. ოქროთი, აზერბეიჯანში — 338,110 მანეთი ოქროთი და სომხეთში—132,965 მანეთი ოქროთი. ეს პატარა ცხრილი ჩვენ გვიჩვენებს, რომ 1922 წლის განმავლობაში საქართველოში პირდაპირ გადასახადებიდან შემოსულა ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე სომხეთსა და აზერბეიჯანში ერთად. ეს იმის მომასწავებელია, რომ, როგორც საგადასახადო სისტემა, ისე აპარატი საქართველოში გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე სომხეთსა და აზერბეიჯანში.

ვნახოთ ეხლა, რამდენი შემოვიდა პირდაპირ გადასახადებიდან 1923 წლის 5-თვის განმავლობაში საქართველოში:

იანვარში—21,425,940,000 მანეთი ა. | ქ. ფულ. ნიშ.

თებერვალში—44,979,372,000 მანეთი ა. | ქ. ფულ. ნიშ.

მარტში—38,922,925,000 მანეთი ა. | ქ. ფულ. ნიშ.

აპრილში—60,132,060,000 მანეთი ა. | ქ. ფულ. ნიშ.

და მაისში—238,367,395,000 მანეთი ა. | ქ. ფულ. ნიშ.

მაშასადამე, ხუთი თვის განმავლობაში საქართველოში პირდაპირ გადასახადებიდან შემოსულა 403,827,693 ათასი მანეთი.

მეტად საინტერესო იქნებოდა, თუ ამხ. ერქომაიშვილი კეთილს ინებებდა და გამოაქვეყნებდა იმ ციფრებს, რომელიც დაგვანახვებდა ხუთი თვის განმავლობაში პირდაპირ გადასახადებიდან შემოსავალს სომხეთსა და აზერბეიჯანში, და სანამ ჩვენ ამ ციფრებს არ დაგვანახვებს ამხანაგი ერქომაიშვილი, მანამ მისი განცხადება საქართველოს საგადასახადო კამპანიის შესახებ ლიტონი სიტყვათ უნდა ჩაითვალოს.

წერილის ერთ-ერთ აბზაცში ამხ. ერქომაიშვილი ასე იწყებს: „აზერბეიჯანში კამპანიამ წარმატებით ჩაიარა, საქართველოში ზოგიერთ დეფექტებით, ხოლო სომხეთში ცუდათ“-ო და შემდეგ ცოტა უფრო დაბლა თვითონვე აღნიშნავს, რომ საქართველოში საერთო სამოქალაქო გადასახადის სახით „მაინც აკრებილ იქნა 130-დე მილიარდი მანეთი“ და „აზერბეიჯანმა გაიღო 130 მილიარდზე მეტი მანეთი“-ო.

პირდაპირ გაუგებარია? თურმე „საქართველოში, სადაც კამპანიამ ზოგიერთი დეფექტებით ჩაიარა“, დაახლოვებით იმდენივე აუკრეფიათ საერთო სამოქალაქო გადასახადი, რამდენიც აზერბეიჯანში, სადაც „კამპანიამ წარმატებით ჩაიარა“.

ეხლა ცოტა რამ თვით „დეფექტებზე“.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში საერთო სამოქალაქო გადასახადის შესახებ დეკრეტი მიიღო 13 მარტს, ხოლო სათანადო ორგანოთა წინაშე, მის განკარგულებაში მომუშავეთა კადრის გამოგზავნის შესახებ შუამდგომლობა აღძრა 18 მარტს, ე. ი. ხუთი დღის შემდეგ და არა ათი დღის შემდეგ, როგორც ამას ამხ. ერქომაიშვილი სწერს. უნდა მოვახსენოთ ამხ. ერქომაიშვილს, რომ მომუშავეთა კადრის უფრო ადრე გამოთხოვა მიზანს ვერ მიაღწევდა და და არც საჭირო იყო, რადგანაც, ჯერ ერთი, დეკრეტის ინსტრუქციებს გამრავლება სჭირდებოდა, შემდეგ ამ გამრავლებულ ინსტრუქციებს თარგმნა, შემდეგ დასტამბვა, რაიონებში გადაგზავნა; სანამ ეს წინასწარი მუშაობა არ მოხდებოდა, აბა ვისთვის იქნებოდა საჭირო მომუშავეთა კადრის გამოთხოვა, როდესაც მათ არავითარი სამუშაო არ ექნებოდათ.

14 მარტს სამმართველოს მიერ სათანადო ბლანკების (ოთხი ფორმის) დასამზადებლათ შეკვეთა მიეცა პოლიგრაფიულ განყოფილებას, მაგრამ, მიუხედავათ უკანასკნელის მიერ მიღებულ ყოველგვარ ცდისა, სამმართველომ ბლანკები მხოლოდ მარტის ბოლოში ჩაიბარა. შემდეგ დამზადებულ ბლანკების პროვინციებში დაგზავნა შეფერხდა თვით ა. კ. ფინსახკომის მიზეზით, რადგანაც უკანასკნელმა, მიუხედავათ დროზე აღძრულ დაჟინებითი შუამდგომლობისა, მხოლოდ 2 აპრილს გაგვიხსნა სათანადო კრედიტი.

მიუხედავათ ამისა 27-მარტს ყველა საგადასახადო განყოფილებების გამგეებს (ფინინსპექტორებს) დაეგზავნა დაწვრილებითი ცირკულიარი სამოქალაქო გადასახადების ჩატარების შესახებ, ხოლო 28 მარტს გამოქვეყნებულ იქნა გაზეთებში ის ვალდებულებანი, რომლებიც უნდა შეესრულებიათ სახლის პატრონებს და დაწესებულებათ სამოქალაქო გადასახადის აკრეფის გასაადვილებლათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვალდებულებანი დროზედ თვით ა. კ. ფინსახკომმაც ვერ შეასრულა, და რაიონის ფინ-ინსპექტორს ვერ მიაწოდა საჭირო ცნობები თავისი მოსამსახურეების შესახებ, რის გამო სამმართველო იძულებული შეიქნა 21-აპრილს ტელეფონოგრამით ხელმეორედ მიემართა ყველა დაწესებულებათათვის ამ საკითხის შესახებ.

გარდა ამისა, უნდა ავღნიშნოთ, რომ სამოქალაქო გადასახადის განსახორციელებლათ მომუშავეთა კადრი, უმეტეს შემთხვევაში, ჯერ ერთი, უვარგისი გამოდგა და მეორე, პირველი პარტია ამ მომუშავეთა სამმართველოში გამოგზავნეს მხოლოდ 10 აპრილს, ხოლო უკანასკნელი პარტია 16-აპრილს.

აი თითქმის ყველა ის „დეფექტები“, რომლებიც ხელს უშლიდნენ საქართველოში სამოქალაქო გადასახადის დაკვრითი წესით ჩატარებას, და არა ა. კ. ფინსახკომის რწმუნებულის საქართველოში უმოქმედება.

ამხ. ერქომაიშვილს, როგორც ა. კ. ფინსახკომის კოლეგიის წევრს, შეეძლო უფრო დაწვრილებით გასცნობოდა საერთო-სამოქალაქო გადასახადის აკრეფის დაგვიანებას საქართველოში ა. კ. ფინსახკომის კანცელარიაში შენახულ, რწმუნებულის მოხსენებებიდან და მაშინ, რასაკვირველია, მსგავს გაუგებრობას ადგილი არ ექნებოდა.

დასასრულ საჭიროთ მიგვაჩნია ავღნიშნოთ, რომ თუ საქართველოში სამოქალაქო გადასახადის აკრეფა დაგვიანდა და მას არ ჰქონდა დაკვრითი ხასიათი, ამის მიზეზათ თავდაპირველათ უნდა ჩაითვალოს თვით გადასახადის პრიმიტივობა და სიტლანქე და შემდეგ ის ტეხნიკური დაბრკოლებანი, რომლებიც ჩვენ აღნიშნული გვაქვს ა. კ. ფინსახკომისადმი მოხსენებებში და რომელთა საყოველთაო გამოცხადება ჩვენ ზედმეტათ მიგვაჩნია.

ბ. ბიბინეიშვილი.

მენშევიკური პარტიის აღსასრულის წინ

მოწოდება

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ქ. თბილისის 1-ლ რაიონის ყოფილი და პარტიიდან გასულ წევრებისადმი.

ამხანაგებო!

მოგიწოდებთ თქვენ სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის ძველ მუშაკებს, გასინჯოთ თქვენ მიერ განვლილი რევოლიუციონურ მუშაობის გზა და დაუკვირდით მუშურ-გლეხურ ხელისუფლების სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი შემოქმედებას. ჩვენ, დიდი აწონდაწონისა და გათვალისწინების შემდეგ, მოგიწოდებთ თქვენ, თავი დაანებოთ მენშევიკების მომაკვდავ პოლიტიკურ პარტიას. მენშევიკები ამ ჟამად გვერდში უმშვენებენ რეაქციონერ ლორდებს და „ბრწყინვალე“ გენერლებს, რომელთაც ემუდარებიან „დემოკრატიულ რესპუბლიკის“ აღდგენას, რის შემდეგ სურთ შეუდგენ ულარიბეს მუშებისა და გლეხების სხეულიდან სისხლის წოვას.

მათ დაკარგეს სოციალისტური სახე და დაჩაგრული მუშათა კლასი ჩააგდეს იმპერიალისტურ მძარცველების კლანჭებში, თავისთვის კი დაიტოვეს „საპატიო“ ადგილები ხოლო მას შემდეგ, რაც მშრომელებმა მათი ბატონობა დაამხვეს, ისინი ცდილობენ აამხედრონ მუშები და გლეხები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამისთვის არ ერიდებიან არაფერს.

საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის არსებობამ აშკარად დაარწმუნა ყველა, რომ არსებული პოლიტიკური წყობილება სავსებით ცხოველ-მყოფელია და მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი, და ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ საქართველოს სოც.-დემოკ. მუშათა პარტია, რომელიც დაუკავშირდა შავ ყორნებს—დასავლეთის და შინაურ რეაქციონერებს, თვითონ გახდა რეაქციონურ პარტიად.

მენშევიკური მსოფლმხედველობა გაკოტრდა, ამის მაჩვენებელია ის, რომ რომ ამ პარტიის საუკეთესო ძველი მომუშავენი—მუშები მთელ ჯგუფებათ გარბიან პარტიიდან, როგორც მათი ინტერესების გამცემლისაგან.

მენშევიკების პარტია აწარმოებს აშკარა თუ ფარულ ბრძოლას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის წინააღმდეგ და ამით ის ღალატობს მუშების ინტერესებს. მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი დროის მოქმედება ადასტურებს, რომ საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტია ზურგში ლახვარს სცემს მუშათა კლასს, რომელიც სასიკვდილო ბრძოლ[illegible] კაპიტალისტურ წყობილებასთან.

ის ბრალდება, რომელიც წამოისროლა მენშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა მათ პარტიიდან გასულ ამხანაგების მიმართ, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ის გაუსწორებელია, რომ მას არ სურს საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში ჩაბმა.

მენშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ნებით იკისრა ეს სახელწოდება, ვინაიდან ის არავის არ აურჩევია და მისთვის არავის არავითარი უფლებები არ მიუცია. ცენტრალური კომიტეტი აწარმოებდა შემთანხმებელ პოლიტიკას უკიდურეს მემარჯვენეებთან, ყოფილ მეფის რეაქციონერებთან (პარიტეტული კომიტეტი): ჩოლოყაშვილის ბრბოები მის დახმარებით ხელს უშლიდნენ ხალხის მშვიდობიანი ცხოვრებას და მის სააღმშენებლო მუშაობას.

ჩვენ, ძველი მომუშავენი, ვსტოვებთ მენშევიკურ პარტიას და სავსებით ვაღიარებთ პროლეტარიატის დიქტატურას. ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგებო, მჭიდროთ შეჯგუფდეთ და მიიღოთ მონაწილეობა კრების მოწვევაში, რომელიც შესდგება 6 ივლისს, საღამოს 5 საათზე ნაძალადევის თეატრში.

არჩევნები უნდა მოხდეს ადგილობრივად, ყოველ ათ კაცისაგან უნდა აირჩიოთ 1 კაცი

დღის წესრიგი:

1) მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციის შესახებ.

2) მენშევიკურ პარტიის არსებობის შესახებ.

3) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ქ. ტფილისის 1 რაიონის ყრილობის მომწვევ ბიუროს წევრნი: 1. გნოევოი, 2. დაცენკო, 3. ტორიკაშვილი, 4. ლუკაშევიჩი, 5. ნიკოლაიშვილი, 6. ნუიკინი, 7. ჩლაიძე, 8. აბხაზოვი, 9. როკვაშვილი, 10. ხარტიშვილი, 11. ბოჭორიშვილი.

პასუხი მენშევიკების ცეკას

არსენალის მუშებისაგან

ჩვენ არსენალის მუშები, რომელთაც დავტოვეთ მენშევიკების პარტია ისევე, როგორც ეს მოიმოქმედეს დეპოსა და მთავარ სახელოსნოს მუშებმა, მათთანვე ერთად გამოვსთქვამთ ღრმა აღშფოთებას მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტის რეზოლიუციის გამო, მათი პარტიის დარღვევის შესახებ.

განა ჩვენ, რომელნიც მენშევიკების პარტიიდან გამოვედით და კომუნისტურ მოძრაობას შეუერთდით, რევოლიუციის გამყიდველებად და ჩვენი კლასის მოღალატეებად მოვინათლებით? განა ჩვენ თუ არ ვიზიარებთ მუშურ-გლეხური ხელისუფლების ჩარჩოვის პოლიტიკას,—რევოლიუციის მოღალატენი გავხდით? განა ჩვენ, რომელთაც გავსწყვიტეთ კავშირი ჩვენს ბელადებთან, რომელნიც აშკარათ დაუკავშირდენ ევროპის კაპიტალს, ვაბრკოლებთ რევოლიუციის საქმეს?

არა. ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ მენშევიკურ პარტიიდან გამოვდივართ სრულიად შეგნებულ ღრმა მოფიქრებით და ჩვენი რწმენა-შეხედულებათა სასტიკ გადასინჯვის შემდეგ.

ვამხილებთ მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტს სიცრუეში და ცილის წამებაში.

ჩვენ მოგვნათლეს ზედმეტ ბარგად და მერყევ ელემენტებად.

როგორ მოხდა, რომ ჩვენ, რომლებმაც მთელი ათეული წლები გავატარეთ პარტიულ მუშაობაში, ჩვენ ზურგზე გადავიტანეთ მთელი სიმძიმე მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლისა, შევადგენდით რა მენშევიკური პარტიის მთავარ მუშურ საფუძვლებს; როგორ მოხდა ან რის შემდეგ მოხდა, რომ ჩვენ ასეთები წინად,—ახლა შევიქენით მეტი ბარგი პარტიისათვის?

არა. ჩვენ როდი ვართ ჩვენი კლასის მოღალატენი. ასეთ ბრალდებას სახეში მივახლით ჩვენს ყოფილ ბელადებს, რომლებიც მოიყიდა კაპიტალმა, რომლებმაც გამოგვთიშეს ჩვენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერნაციონალურ წრიდან, ხოლო უწინარეს ყოვლისა, ჩამოგვაშორეს რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატს, რომელმაც მაღლა აღმართა პროლეტარული რევოლიუციის დროშა.

მხურვალით მოუწოდებთ ყველა მუშებს და ყველა მშრომელს, რომლებიც კიდევ დარჩენილნი მენშევიკების რიგებში, დასტოვონ ეს პარტია და მჭიდროთ შეკავშირდნენ ჩვენთან ერთად. კომუნისტური პარტიის გარშემო. ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მენშევიკური პარტიის შემდეგში არსებობის საკითხის გამოსარკვევათ,—პარტიის, რომელიც ჯერ კიდევ განაგრძობს საქართველოს მუშების სახელით ლაპარაკს,—მოწვეულ იქნას კონფერენცია ყოფილ მენშევიკთა, რისთვისაც ამ კრებაზე ვირჩევთ საინიციატივო ბიუროს.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

გაუმარჯოს კომინტერნს.

ყოფილ მენშევიკ მუშისაგან

რამდენიმე კვირის წინათ მენშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიც ის აცხადებს, რომ ჩვენ, მენშევიკური პარტიის ყოფილმა წევრებმა ძალდატანებით და შიშის გამო დავტოვეთ ეს მუშათა კლასის მოღალატეთა პარტია.

ისინი საშინელის სიძულვილით აკრავენ სამარცხვინო ბოძზე იმ მუშებს, რომლებსაც ბოლოს და ბოლოს აეხილათ თვალი და რომლებიც სამუდამოთ ჩამოშორდენ [illegible], რომლებიც ჰყიდდენ მუშათა [illegible] ინტერესებს.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ მოწოდებაში მოყვანილი საბუთები მეტად სუსტი არიან და უსაფუძვლო.

ვინც თვალყურს ადევნებდა იმ მუშების განცხადებებს, რომლებიც მენშევიკური პარტიიდან გამოვიდენ, მათ იციან, რომ მათი 99 პროც. პარტიის ძველი მუშაკებია, რომლებსაც კარგათ ახსოვთ მეფის ჯალათების ჟანდარმების და მათი დამქაშების—დევნა—შევიწროება.

უფრო მეტი მრავალი მათგანი თავის დროზე იძულებული გახდა თავისი ნებით მიეტოვებია ნათესავები, ოჯახი და გადამალულიყო, სადაც კი მოახერხებდა; ბევრი სამუდამოთ იქნა გადასახლებული ციმბირში.

მიუხედავათ ამისა ეს დევნა-შევიწროება ვერ გვაშინებდა ჩვენ და ჩვენი პარტია დღითი დღე ძლიერდებოდა. ხოქვით: თუ ეს საშინელი დევნა-შევიწროება ვერ გვაშინებდა ჩვენ, ვერ გვაღებინებდა ხელს ბრძოლაზე, რა გვაიძულებდა ჩვენ ახლა დაგვეტოვებია მენშევიკური პარტიის რიგები?

როგორც წარსულში, ისე ახლა ვერავითარი ძალდატანება ვერ მოახდენდა ჩვენზე გავლენას. მხოლოდ ჩვენმა შეგნებამ გვიკარნახა ჩვენ ასე მოვქცეულიყავით.

ჩვენ ნათლათ დავინახეთ, რომ ჩვენი გზა არ იყო სწორი, რომ ჩვენ მოტყუებული ვიყავით მშრომელი ხალხის მოღალატეების მიერ, რომ ჩვენ იარაღი ვიყავით მათ ხელში. და განა ამის შემდეგ ჩვენ შეგვეძლო კვლავ ბრმათ გავყოლოდით ამ ვაჟბატონებს და წავსულიყავით მათთან ერთად უფსკრულისაკენ?

არა! ჩვენ გამოვნახეთ სწორი გზა, რომელიც ჩვენ მიგვიყვანს სამეფოში, რომლის სახელია სოციალიზმი.

პროკლამაციაში არის აგრეთვე პატარა მუქარა, რომ „ჩვენი გვარები გამოქვეყნებული იქნება ადგილობრივ და უცხოეთის გაზეთებში“. რატომ სწორეთ ამით გვაშინებენ ჩვენ ჩვენი განსვენებული ლიდერები? **ჩვენ ხომ მათ დაუკითხავათ საჯაროთ დავბეჭდეთ ჩვენი განცხადებები, [illegible] მივუთითებდით ჩვენს [illegible] „მთლიანი [illegible] დავდევით, „ახალი“ ქართულსა და [illegible] რომ გამოცემა „წითელი წიგნის“. სწორ [illegible] სხვა და სხვა. [illegible] მძლავრ კომუნისტურ პარტიას.**

მენშევიკების სამი წლის ბატონობამ ჩვენში ნათლად დაგვიმტკიცა ჩვენ, რომ მენშევიკებმა გაყიდეს როგორც თავისი რევოლიუციონერობა. აგრეთვე ის მუშებიც, რომლებიც მათ მიყვებოდენ; იმათ ჩვენ მიგვცეს ევროპის კაპიტალისტების ხელში. მენშევიკურმა პარტიამ უღალატა მუშათა კლასს, ის ჩამოშორდა ჭეშმარიტ რევოლიუციონურ მარქსისტულ გზას.

მენშევიკების ლიდერები მუხლს იდრეკენ ევროპის ბურჟუაზიისა და კაპიტალისტების წინაშე და ლუკმაპურს ემუდარებიან ყოველთვის.

ჩვენ კი უარს ვამბობთ მათთვის დაჯერებაზე ისე, როგორც არ გვჯერა ევროპის კაპიტალისტების.

მუშათა კლასის მოღალატე და გამცემელი მენშევიკები ისევე შორს უნდა იდგენ ჩვენგან, როგორც კაპიტალისტები და ჩვენ მუდამ ვიბრძოლებთ როგორც ერთის, ისე მეორეს წინააღმდეგ.

ზიზღი და წყევა-კრულვა საქართველოში მიმალულ და საზღვარგარეთ გაქცეულ მენშევიკურ „ცეკისტებს“.

სალამი და დიდება მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს და კომუნისტურ პარტიას!

არსენალის მუშა, ყოფილი მენშევიკი **ვარხამაშვილი.**

რადიო-დეპეშები

საკონტრიბუციო საკითხი

საფრანგეთის პასუხი.

ლონდონი, 3 ივლისი. საფრანგეთის პასუხი ბრიტანეთის ნოტაზე სარეპარაციო საკითხის შესახებ ჯერ არ გადაუციათ ინგლისის მთავრობისათვის, თუმცა პასუხი უკვე მიღებულია ლონდონში.

„დეილი მერალდის“ ცნობით, პასუხი შეიცავს მოთხოვნილებას, რომ ინგლისის მთავრობამ ფაქტიურად იცნოს საფრანგეთისა და ბელგიის უფლება რურის ოკუპაციაზე. საზოგიეროდ საფრანგეთი პირდება ინგლისს საოკუპაციო რეჟიმის შემსუბუქებას და რურის სამრეწველო რაიონებიდან ჯარების გამოყვანას, თუ ბალდვინი არ დასთანხმდება ამ წინადადებაზე, შესაძლებელია კონფლიქტი ინგლის—საფრანგეთს შორის და სეპერატიული მოლაპარაკება გერმანიასთან. გაზეთი სწერს, რომ შესაძლოა ინგლისმა საფრანგეთზე გავლენის მოსახდენათ მოსთხოვოს უკანასკნელს სამხედრო ვალების გადახდა.

ინგლისის სავაჭრო, ფინანსიურ და აგრეთვე პარლამენტის წრეებში მოითხოვენ მთავრობისაგან რურის საკითხისადმი დაუყოვნებლივ თავისი პოზიციის გამორკვევას. ყველა წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ინგლისის მთავრობის აზრი რამდენიმე დღეში გამოირკვევა.

საფრანგეთ-ბელგიის პასუხის განხილვა.

ლონდონი, 4 ივლისი. დღეს დილას ბრიტანეთის კაბინეტი შეუდგა საფრანგეთ-ბელგიის პასუხის განხილვას. **ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სდუმს ნოტის შესახებ და საიდუმლოთ ინახავს ბრიტანეთის კაბინეტის დადგენილებას,** მაგრამ არაოფიციალური ცნობიბიდან სჩანს, რომ **ინგლისის მთავრობა არადამაკმაყოფილებლად სთვლის საფრანგეთის პასუხს.** ბრიტანეთის მთავრობამ უარი სთქვა ამ ხმების დადასტურებაზე, რაც იმას მოწმობს, რომ შესაძლებელია მოლაპარაკების გაგრძელება ერთის მხრით კერზონსა და მეორე მხრით საფრანგეთ-ბელგიის ელჩებს შორის. იტალიის ელჩს თათბირი ჰქონდა კერზონთან შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მოელიან კაბინეტის ახალ სხდომას. როგორც იუწყებიან, კაბინეტის ზოგიერთი წევრები მოითხოვენ გადამჭრელი ნაბიჯების გადადგმას კონფლიქტის მოსაგვარებლად.

„სიჩუმე ბუნებრივია“.

ლონდონი, 5 ივლისი. ოფიციალური ცნობა თათბირის შესახებ, რომელიც გუშინ ჰქონდა კერზონს საფრანგეთის და ბელგიის ელჩებთან, ჯერ არ გამოუქვეყნებიათ. გაზეთების უმრავლესობა ამ სიჩუმეს ბუნებრივათ სთვლის, ვინაიდან მათის აზრით საკითხის სირთულე და სერიოზულობა თავდაჭერას და წინდახედულებას მოითხოვს.

„პტი პარიზენის“ წერილი.

პარიზი. 5 ივლისი. „პტი პარიზიენი“ სწერს: ინგლისში კვლავ ფიქრობენ, რომ რურის ოკუპაცია ასუსტებს გერმანიის გადახდის უნარიანობას და ამის გამო მოითხოვენ, რომ საფრანგეთმა გამოიყვანოს თავისი ჯარები რურიდან. მაგრამ არც საფრანგეთს და არც ბელგიას ამ საკითხში დათმობა არ შეუძლიათ. წინააღმდეგობა, რომელსაც გერმანიის უწევს საფრანგეთს, იკვებება ინგლისის გაურკვეველი პოლიტიკით“.

ჩინეთის ოკუპაცია

ინგლისის „მუშაობა“

ლონდონი. 5 ივლისი. **„დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ინგლისის მთავრობამ წარსულ კვირაში მიმართა სახელმწიფოებს წინადადებით პეკინ—ტიან-ცზინის რკინის გზის ხაზის საერთაშორისო ოკუპაციის შესახებ. ინგლისი მოითხოვდა აგრეთვე ჩინეთის ჟანდარმერიის მოწყობას უცხოელი ოფიცრების მეთაურობით, დამატებითი გადასახადების დაწესებას საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მყოფ სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციის შესანახათ.**

უცხოეთის ზოგიერთი წარმომადგენლები ჩინეთში მოითხოვენ, ჩინეთის ქალაქებში საერთაშორისო ჯარების გაძლიერებას და ჩინეთის რკინის-გზებზე სამხედრო კონტროლის დაწესებას

ამერიკის ამბები

ამერიკის სავაჭრო ბალანსი.

ნიუ-იორკი. 3 ივლისი. ამერიკის სავაჭრო ბალანსის ანგარიშიდან სჩანს, რომ საქონლის შემოზიდვა სჭარბობს გაზიდვას. გადიდებულია უმეტესად ნედლი მასალის შემოზიდვა აზიიდან, აფრიკიდან და მექსიკიდან, რაც აუცილებელია ამერიკის მრეწველობისათვის. გაზიდვა ევროპის რუსეთში შეადგენს 366,000 დოლარს, შემოზიდვა რუსეთიდან — 135,000 დოლარს.

ახალი ავტომატიური თოფი.

ნიუ-იორკი. 3 ივლისი. ამერიკის სამხედრო დეპარტამენტი იტყობინება, რომ ახალ გამოგონებული ავტომატიური თოფი წუთში ისვრის 60 ტყვიას, რაც ცდებმა დაამტკიცა. თოფი იმდენსავე იწონის, რამდენსაც ამერიკული ვინტოვკა. ამ ახალი თოფის გამოყენების შემთხვევაში, თვითეული ქვეითა-ჯარის-კაცი გახდება ტყვიისმფრქვეველი.

მუშათა პარტიაში.

ნიუ-იორკი. 3 ივლისი. ამერიკის მუშათა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტი განაგრძნობს აგიტაციას, დამოკიდებულ პოლიტიკურ პარტიის შესაქმნელად, რომელიც დაიცავს სამრეწველო მუშების ინტერესებს. კომიტეტმა დაადგინა გამოუშვას 7 ნოემბერს, პარტიის მიერ ზინოვიევიდან იმ წერილის მიღების წლის თავზე, რომელშიაც კომინტერნის სახელით კმაყოფილებას გამოსთქვამდა მუშათა პარტიის მიერ ამ უკანასკნელ დროს მიღწეულ გამარჯვებების გამო,— ყოველდღიური გაზეთი.

ამერიკელი რუსეთის შესახებ.

ნიუ-იორკი. 3 ივლისი. კვაკერების საზოგადოების მდივანმა ვილბურ ტომასმა, რომელიც დაბრუნდა რუსეთიდან, ოფიციალურად განაცხადა, რომ რუსეთი, გარდა სიმშილობის გამო დაზარალებულ გუბერნიებისა, საკვირველად იფურჩქნება. მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა სწრაფად ვითარდება. საბჭოთა მთავრობა ყოველ ძალღონეს ხმარობს სახალხო განათლების საქმის გასაუმჯობესებლად. რელიგია არ იდევნება, მაშინ როდესაც მეფის რეჟიმის დროს ეკლესია ჩაგრავდა ხალხს და ჰყავდა ის უმეცრებაში. „მე, განაცხადა ტომასმა, გამოვკითხე მცხოვრებთა ყველა კლასებს და დავრწმუნდი, რომ საბჭოთა მთავრობა რელიგიას არ სდევნის. რუსეთის მორწმუნეთა თემების უმრავლესობა, უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობს, ვინემ წინად.

ბრძოლა მაგარი სასმელების წინაალმდეგ.

ნიუ-იორკი. 3 ივლისი. შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს გააძლიეროს ბრძოლა მაგარი სასმელების შემოზიდვის წინააღმდეგ და შეიტანოს სათანადო კანონში ახალი მუხლები, რომლითაც დაპატიმრებული იქნებიან ყველა ის გემები და გემის უფროსები, რომლებიც შემოიტანენ მაგარ სასმელებს.

ამხ. კოლაროვის დატუსაღება

ვენაში. 3 ივლისი. სოფიაში დაატუსაღეს კომინტერნის გენერალური მდივანი ამხ. კოლაროვი. ბულგარეთის ოფიციალური დეპეშათა სააგენტოს ცნობით, კოლაროვს ბრალათ ედება სიმპატიები მოსკოვის მთავრობისადმი, უარყოფითი დამოკიდებულება ბულგარეთის ახალი მთავრობისადმი და აგიტაცია ბულგარეთში მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამყარების სასარგებლოდ

ერთა ლიგაში

საჭირბოროტო საკითხი.

ბერლინი. 5 ივლისი. ერთა ლიგის საბჭომ უარი სთქვა რაიმე ნაბიჯების გადადგმაზე შეიარაღების შემცირების საკითხში და საჭიროდ სცნო გადასცეს ამ საკითხის შესახებ წარმოდგენილი ყველა მოხსენებები ლიგის პლენარულ სხდომას განსახილველად.

საარის საკითხი.

ბერლინი. 5 ივლისი. ერთა ლიგის საბჭომ, მოისმინა რა რობერტ სესილის მოხსენება, დანიშნა კომისია საარის მოქმედებების გამოსაძიებლად.

შვეციის ყოფილმა პრემიერმა ბრანტინგმა განაცხადა, რომ კომისიის ეხლანდელ შემადგენლობას არ შეუძლია პრეტენზიები განაცხადოს მცხოვრებთა ნდობაზე.

რურის ოლქის ოკუპაცია

რეპრესიები.

ბერლინი. 2 ივლისი. ობერგაუზენში საოკუპაციო მთავრობამ მცხოვრებლები დააჯარიმა 100 მილიარდი მარკით.

რეპრესიები.

ლონდონი 5 ივლისი. საფრანგეთ ბელგიის საოკუპაციო მთავრობამ დიუისბურგს დაადვა 30 მილიარდი მარკის ჯარიმა გოხფელდის ხიდის აფეთქებისათვის.

რომი. 5 ივლისი. საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ დაიკავა ნახშირის დიდი საწყობი ფრანკფურტში.

უარყოფენ.

პარიზი, 5 ივლისი. საფრანგეთი და ბელგია ცდილობს უარყოფს გერმანიის გაზეთების ცნობა სიმშილის ბლოკადით დიუისბურგის რაიონში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის შესახებ. ბელგიის ჯარების შტაბი ოფიციალურად იუწყება, რომ სურსათის გადატან-გადმოტანა თავისუფალია მთელ რურის ოლქში.

სხვადასხვა ამბები

პოლონეთი

კომუნისტების დევნა.

ვარშავა. 3 ივლისი. ლვოვში დააპატიმრეს სხვებთან ერთად „რაბოჩაია ტრიბუნ“-ის რედაქტორი ლანძერი, რომელსაც ბრალს სდებენ კომუნისტურ პროპაგანდაში.

პოლონეთის სეიმში.

ვარშავა 3 ივლისი. პოლონეთის სეიმში ირჩეოდა ამნისტიის პროექტი პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრების ცნობის გამო. პროექტის მიხედვით ამნისტია ვრცელდება ბელორუსებზე, უკრაინელებზე და კომუნისტებზე.

ასეთი შეზღუდვის წინააღმდეგ ილაშქრებდენ კომუნისტები, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები და სოციალისტები. კამათის დროს გამოირკვა, რომ პოლონეთის ციხეები სავსეა უკრაინელებით და ბელორუსებით. კომუნისტმა კრუგლიაკოვმა აღნიშნა, რომ განზრახულია არა ამნისტიის, არამედ შურისძიების აქტი. პროექტი მიიღო სეიმმა.

ბელგია

ტენისის დეკლარაცია.

ბერლინი. 5 ივლისი. ტენისმა გამოაქვეყნა პარლამენტში ახალი კაბინეტის დეკლარაცია. კამათი დიდხანს არ გაგრძელებულა. სოციალისტები ილაშქრებდენ პროგრამის იმ მუხლების წინააღმდეგ, რომლებიც შეეხებიან სამხედრო სამსახურის ვადას და გენტის უნივერსიტეტის ფლამანდიზაციას.

ბელგიის კომუნისტების პროცესი.

პარიზი. 3 ივლისი. ბელგიის კომუნისტების პროცესი დაიწყება 9 ივლისს.

ავსტრია.

ბრძოლა რეაქციასთან.

პარიზი. 5 ივლისი. ვენის გაზეთები იტყობინებიან, რომ ავსტრიის მთავრობამ დაადგინა გააუქმოს ყველა ნაციონალისტური ორგანიზაციები.

ბალკანეთი.

კროაცია აჯანყების წინაშე.

ბერლინი. 5 ივლისი. კროაციის გლეხთა პარტიის ბელადმა რადიჩმა განაცხადა, რომ ბელგრადის მთავრობასთან კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში, ის დარაზმავს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს; კროაცია მზად არის აჯანყებისათვის.

ესპანეთი.

ბარსელონაში.

პარიზი. 3 ივლისი. მადრიდის პრესა მეტად აღელვებულია ბარსელონაში შექმნილ მდგომარეობით. გაზეთები აღნიშნავენ სეპარატიულ მოძრაობის ზრდას, რადგან ცენტრალურ ხელისუფლებას არ ძალუძს წესრიგის აღდგენა. ერთი ნაციონალისტური გაზეთი სწერს: „უცხო სახელმწიფოს ესკადრას რომ შეეძლოს ბარსელონაში წესრიგის აღდგენა, ის სიხარულით იქნებოდა მიღებული“.

საფრანგეთი.

რკინის-გზელები უერთდებიან პროფინტერნს.

პარიზი. 3 ივლისი. პარიზის რკინისგზელთა კონგრესმა დაადგინა შეუერთდეს პროფინტერნს და სურვილი გამოსთქვა აგრეთვე რკინისგზელთა გაერთიანების შესახებ იმ პროფკავშირთა კონგრესის მოწვევის საშუალებით, რომელნიც უერთდებიან შრომის, როგორც საერთაშორისო, ისე უნიტარულ კონფედერაციას.

ამერიკა

იმმიგრაციის ნორმა და რუსეთის ემიგრანტები.

ნიუ-იორკი, 3 ივლისი. ამერიკაში იმმიგრაციის ნორმების შეცვლასთან დაკავშირებით, ნიუ-იორკში ამ დღეებში ელიან 15.000 იმმიგრანტის ჩასვლას. ნორმა რუსეთის ემიგრანტებისათვის შეადგენს 21.400 კაცს, რომელთაგან პირველი ხუთი თვის განმავლობაში დაშვებული იქნება 4.000 კაცი.

ფინეთი

კარელიის ლტოლვილების ბედი.

ჰელსინგფორსი. 3 ივლისი. ფინეთის ოფიციალური პრესა კამპანიას ეწევა საბჭოთა ხელისუფლების მიერ კარელიის ლტოლვილებისათვის ამნისტიის გამოცხადების წინააღმდეგ. მთავრობამ უარყო რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის შუამდგომლობა რუსეთის ელჩის ლტოლვილთა ბანაკში დაშვების შესახებ.

ბრძოლა კომუნისტებთან.

ჰელსინგფორსი. 3 ივლისი. ჰელსინგფორსში, ვიბორგში და ულეაბორგში დატუსაღებულია მრავალი კომუნისტები, მათ რიცხვში სეიმის ორი დეპუტატი და აგრეთვე პროფმოძრაობის მოღვაწეთა მთელი რიგი.

სამხრეთ-სლავია.

მუშათა შორის.

ვენა. 3 ივლისი. სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელმა პროფკავშირებმა მემორანდუმით მიმართეს მინისტრთა საბჭოს, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ პროფკავშირების დევნის წინააღმდეგ და თავისუფლებას მოითხოვენ მუშათა ორგანიზაციების კავშირისათვის. მემორანდუმი ხაზს უსვამს სამხრეთ-სლავიის პროლეტარიატის მძიმე მდგომარეობას და მოითხოვს დახმარების მოწყობას უმუშევართათვის საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობის საშუალებით.

ლატვია.

საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია.

რიგა. 3 ივლისი. რიგაში დანიშნულია პოლონეთისა და ბალტიის რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია.

გაზეთი „სეიმსი“ მომავალ კონფერენციის შესახებ სწერს: „ბალტიის სახელმწიფოები ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ იარაღად არ გახდენ პოლონეთის ხელში, რომელიც იმპერიალისტურ მიზნებს მისდევს. პოლონეთთან კავშირის იდეა, რომელიც ეჯავრებათ ყველა მეზობლებს, საბოლოოდ შერცხვენილია“.

ეშინიათ რუსეთის ფლოტის

რიგა. 3 ივნისი ბალტიის პრესა. ხაზს უსვამს რუსეთის შეიარაღებულ ფლოტის გაძლიერებას და მოუწოდებს განაპირა სახელმწიფოებს მიბაძონ რუსეთის მაგალითს.

ინგლისი.

ახალ შოტლანდიაში,

ლონდონი 3 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ახალ შოტლანდიაში (კანადა) ძლიერმა აღელვებამ იფეთქა 5000 ფოლადის ჩამომსხმელ მუშათა შორის. პოლიცია უძლურია თავი გაართვას შექმნილ მდგომარეობას. ათას კაციანმა ბრბომ დაამსხვრია ინგლისის ფოლადის ჩამომსხმელ ქარ-ხნის ჭიშკარი და გალავანი. შეტაკება მოხდა პოლიციასა და გაფიცულთა შორის. ღამით ბრბომ დაანგრია დომენის ღუმელები. ხმების მიხედვით, გაფიცულებს განზრახვა აქვთ გაემართონ რკინის გზით ჯარების შესახვედრად, რომელნიც მათ დასაწყნარებლად არიან გამოგზავნილი.

ბულგარეთი.

პოზიცია კომუნისტების მიმართ.

ვენა. 2 ივლისი. ბულგარეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ სანამ ბულგარეთის კომუნისტები კანონის ფარგლებში იმოქმედებენ, მთავრობა არავითარ განსაკუთრებულ ზომებს არ მიმართავს მათ წინააღმდეგ. ეს ზომები მიღებული იქნება მხოლოდ მაშინ, თუ კომუნისტები შეეცდებიან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას.

ამერიკა.

დამოკიდებულება რუსეთთან.

ნიუ-იორკი. 2 ივლისი. 4 ივლისს რუსეთში მიემგზავრება კონგრესის წევრი რესპუბლიკანელი ფრედ-ბრიტენი, რომელმაც საუბრის დროს განაცხადა: „შეერთებულ შტატებს დიდი ხნით ადრე უნდა განეახლები დამოკიდებულება რუსეთთან, მაგრამ სამწუხაროდ, ამერიკა იმყოფება თეთრგვარდიელების გავლენის ქვეშ, რომელთაც აქვთ საკმაო თანხები, რომელიც მიღებული აქვთ ამერიკის მთავრობიდან. ბრიტტენის სიტყვით, დაუყოვნებლივ, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ის წარმოადგენს კონგრესზე რეზოლიუციას, რომელიც მოითხოვს რუსეთ-ამერიკის კონფერენციის მოწვევას, ორთავე სახელმწიფოს შორის შეთანხმების მიღწევის მიზნით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

საჰაერო ფლოტი

მოსკოვი. 3 ივლ. კოლჩუგინის სპილენძის ჩამომსხმელი ქარხანა ამთავრებს პირველი თვითმფრინავის აშენებას; თვითმფრინავი შენდება სავსებით რუსული მასალებიდან.

არხანგელსკი. 2 ივლისი. საჰაერო ფლოტის დახმარების კვირეული ტარდება არხანგელსკის გუბერნიაში, 1-დან 7 ივლისამდე. არხანგელსკის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ, მიიღო 10 ათასი მან. ოქროთი, მოხალისე მფრინავის აქციების შესაძენად.

უფა. 3 ივლ. უფაში მოეწყო მოხალისე საჰაერო ფლოტის საზოგადოება. წითელ არმიელთა გარნიზონის საქალაქო პარტიული კრება სავსებით შევიდა საზოგადოებაში.

სამხატვრო თეატრის არსებობის 25 წელი

მოსკოვი. 3 ივლისი. მიმდინარე წელს სამხატვრო თეატრს უსრულდება არსებობის 25 წელი. სახალხო კომისართა საბჭომ თეატრის საშუალების გასაძლიერებლად გადასდო 4,000.000 მანეთი.

გროზნოს ნავთი

მოსკოვი. 3 ივლ. გროზნოში ამოხეთქა ნავთის ახალმა შადრევანმა, რომელიც ყოველდღე ისვრის 6,000 ფ. პარაფილინიან ნავთს.

რუსეთის მანუფაქტურა ციმბირში

ბლაგოვეშჩენსკი. 2 ივლ. უკანასკნელ ხანებში ციმბირი გაივსო რუსეთის მანუფაქტურით, რომელმაც სრულიად განდევნა ბაზრიდან ჩინეთის მანუფაქტურა.

ჟურნალისტიკის ინსტიტუტი

მოსკოვი. 3 ივლ. ჟურნალისტიკის მოსკოვის ინსტიტუტი გადაკეთებული იქნება უმაღლეს სასწავლებლად.

პროფინტერნის წევრები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მოსკოვი. 3 ივლ. სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ინახულეს პროფინტერნის წევრებმა. გამოფენაში მონაწილე მუშების მიტინგზე, მისალმების სიტყვები წარმოსთქვეს პროფინტერნის წევრებმა და მუშების წარმომადგენლებმა.

პროფკავშირთა ყრილობა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 3 ივლისი. ნიჟნი-ნოვგოროდში გაიხსნა პროფკავშირთა მე-8-ე საგუბერნიო ყრილობა, რომელზედაც დაესწრენ 130000 შეკავშირებულ მუშა-მოსამსახურეების წარმომადგენლები.

მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა შრომის სახალხო კომისარი შმიდტი. ყრილობამ მიზნად დაისახა დარაზმოს ოქტომბრისათვის კომპარტიაში 1000 მუშა და აღმოფხვრას პროფკავშირების წევრებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობა.

საბჭოთა ყრილობა.

ბლაგოვეშჩენსკი. 3 ივლისი. 1 ივლისს ბლაგოვეშჩენსკში გაიხსნა საბჭოთა სამაზრო ყრილობა. ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობს 142 დელეგატი, რომელთაგან კომუნისტები და თანაგრძნობნი შეადგენენ 120 კაცს.

ნავთის პროდუქტები უცხოეთში,

ოდესა. 3 ივლისი. ოდესის ნავთის სინდიკატი შეუდგა 113,000 ტონა ნავთის პროდუქტის გაგზავნას საფრანგეთის ნავთსადგურებში.

პროფინტერნის სახელობის კურორტი.

ოდესა. 3 ივლისი. ხაჯიბეის ლიმანზე მოხდა პროფინტერნის სახელობის კურორტის საზეიმო გახსნა. კურორტი აღდგენილია განსაკუთრებით საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს ხარჯზე, დანიშნულია პროფკავშირების წევრთათვის და შეუძლია დაიტიოს [illegible] განმავლობაში 1000 კაცი. წამლობისა და სრული პანსიონისათვის კავშირის წევრები იხდიან თვითღირებულებას.

ძირს ეკლესიის ზარები.

ცარიცინი. 3 ივლისი. მალოდელსკის 6 სოფელმა დაადგინა მოხსნან ეკლესიის ზარები, გაჰყიდონ ის და მიღებული ფულით შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ვოლოგდა. 3 ივლისი. სლობოდის თემის გლეხებმა დაადგინეს გაჰყიდონ ეკლესიის ზარები და მიღებული ფულით შეიძინონ სათესლე ქვავი.

ნათესების მდგომარეობა ციმბირში.

ნოვო-ნიკოლაევსკი. 3 ივლისი. ნათესების მდგომარეობა ივნისის მეორე ნახევარში მთელს ციმბირში გაუმჯობესდა ივნისის პირველ ნახევართან შედარებით. ალტაის, ნოვონიკოლაევსკის, ტომსკის და ენისეის საზამთრო ნათესები დამაკმაყოფილებელია. არ არის დამაკმაყოფილებელი მხოლოდ ირკუტსკის გუბერნიაში და ოირატის ოლქში.

სიგარის თამბაქო ფინლიანდიაში.

პოკროვსკი. 3 ივლისი. პოკროვსკის საოლქო სახალხო მეურნეობის საბჭომ გერმანელთა კომუნასაგან შეისყიდა 13.000 ფუთი სიგარის თამბაქო ფინლანდიაში გასასაღებლად, სადაც გაგზავნილი იქნებიან სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმომადგენლები.

ვაჭრობა სპარსეთთან.

ტაშკენტი. 3 ივლისი. წლის დასაწყისიდან თურქესტანის საბაჟოების საშუალებით, შემოტანილია 30.000 ფუთი საქონელი, გატანილია 70 000 ფუთზე მეტი, უმთავრესად მარილი, ნავთი და სხვადასხვა ნედლი საქონელი.

ვაჭრობა თურქესტანსა და სპარსეთს შორის კასპის ზღვაზე შესამჩნევად გაცხოველდა. თითქმის ყოველდღე მოდიან კრასნოვოდსკში და მიდიან სპარსეთში გემები საქონლით.

კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის.

სიმფეროპოლი. 3 ივლისი. კოოპერაციის საერთაშორისო დღეს, სიმფეროპოლის გაზეთების მიერ გამოშვებული იქნება სპეციალური ნომრები. მოედნებზე, წარმოებებში, დაწესებულებებში და ყაზარმებში შესდგება მიტინგები და კონცერტები მოხსენებებით, კოოპერაციის შესახებ.

ჩვენი კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

ნავთსადგურში

ბათომი. 3 ივლ. ინგლისის გემმა „სკალიარია“-მ წაიღო 7,600 ტონა (ტონა 62 ფუთია) ნავთი. საბერძნეთის გემმა „იულიუს შინდლერ“-მა წაიღო 3,350 ტონა ნავთი და ბენზინი ფიუმეში არსებულ იტალიელთა საზოგადოებისათვის.

ოსმალეთის ლტოლვილნი

ბათომი, 4 ივლისი. ივლისის 1-მდე ბათომიდან ოსმალეთში გაიგზავნა 1900 ლტოლვილი. ამ თვის გასვლამდე განზრახულია მოთავდეს ლტოლვილთა გზავნა, რომელთა რიცხვიც ეხლა უდრის ათას კაცს.

საფრთოსანო

ბათომი. 4 ივლ. აჭარისტანის სოც. საბ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომისარიატი საბჭოთა მესამე მეურნეობაში თამარაშენსა და ბათომის სანაპიროებზე აპირებს საცდელ საფრთოსანოს გახსნას.

შინამრეწველობა

ბათომი. 4 ივლ. აჭარისტანის სოც საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომისარიატმა ყურადღება მიაქცია ამ მხარეში ფეხადგმულ შინამრეწველობას და ზომებს იმუშავებს შინამრეწველობის წასაქეზებლად და ხელის შესაწყობად.

მერძეობა

ბათომი. 4 ივლ. მიწათმოქმედების კომისარიატმა მაზრებში დაგზავნა აგრონომები, რათა ხელმძღვანელობა გაუწიონ მერძეობის საქმეს.

აზერბეიჯანი

ქუბათლის მაზრაში

ბაქო. 4 ივლისი. ქუბათლის აღმასრულებელმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა აზერბეიჯანის აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რათა ქუბათლის მაზრის მთიანი ადგილის მოსახლეობა გაანთავისუფლოს სასურსათო გადასახადისაგან. შუამდგომლობა იმითაა დასაბუთებული, რომ ეს მოსახლეობა 1920 წელს ვერ გამართა წელში იმ აწიოკება-აოხრებისაგან, რომელიც მან განიცადა მუსავატელების ბატონობის დროს. ეს მხარე აგრეთვე დაისეტყვა და გარდა ამისა კალიამ მოუძოვა მთელი ჭირნახული 1921—1922 წელს. ამ ადგილების მოსახლეობა დღეს სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ იმყოფება წელსაც. ჭირნახულის ნაწილი კალიამ მოსპო·

ნავთის ფრონტზე,

ბაქო. 4 ივლისი. ივნისის 30-ს ყველა სამრეწველოებზე ამოღებულია 600.000 ფ. ნავთი; საქაჩავში მიშვებული იყო 420.000 ფუთი, საქაჩავიდან მიღებულია—416 000 ფუთი. დაწმენდილია 26 000 ფუთი. ბურღვა სწარმოებდა 163 ჭაში; ჩაბურღულია 125 საჟენი.

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო. 4 ივლისი. ივნისის 30-ს გაზიდულია ბაქოდან ასტრახანში შავნავთის ნაწარმოები—493,965 ფუთი. რეკუშიდან ასტრახანში—შავი ნავთის ნაწარმოები—312,000 ფ. პეტროვსკიდან—გროზნას პარაფინის ნავთი—ასტრახანში—221,758 ფუთი. კრასნოვოდსკში—141,016 ფუთი.

ფართალი.

განჯა 4 ივლისი. შეზამბეობის მთავარმა კომიტეტმა გააფართოვა მაზრაში ფართლით ვაჭრობა, როგორც ბითუმად, ისე წვრილათ, რითაც უღარიბეს მოსახლეობას საშუალება ეძლევა შეიძინოს ფართლეულობა შედარებით ნაკლებ ფასებში.

ფოსტა-ტელეგრაფის კურსები.

ბაქო. 4 ივლისი. ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან გაიხსნა თურქებისათვის ფოსტა-ტელეგრაფის კურსები.

სომხეთი

საბინაო კომისია.

ერევანი. 4 ივნისი. პროფკავშირთა საბჭომ აირჩია განსაკუთრებული საბინაო კომისია, რომელსაც დაევალა 10 დღის განმავლობაში გამოიმუშაოს პროგრამა საბინაო საკითხის შესახებ.

კოოპერაციის დღე.

ერევანი. 4 ივნისი. სომხეთის კოოპერატივთა კავშირთან დაარსებულია ცენტრალური კომისია კოოპერაციის საერთაშორისო დღის დღესასწაულის მოსაწყობად. ასეთივე კომისიები დაარსებულია მაზრებშიც.

სომხეთის კოოპერატივთა კავშირი.

ერევანი. 4 ივნისი. სომხეთის კოოპერატივთა კავშირმა მიიღო მუშკოპებისათვის გასანაწილებლად ფართლეულობა, პურეულობა, კარაქი და სხვა საქონელი, სულ 650 ათას მანეთის.

დასასვენებელი სახლები.

ერევანი. 4 ივნისი. ცაჰკაძორაში იხსნება დასასვენებელი სახლი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. მეორე სახლი იხსნება კარაკლისში.

ახალი სანატორიუმი.

ერევანი. 4 ივნისი. დელიჟანის სანატორიუმის ავადმყოფებით ავსების გამო (60-დე ავადმყოფი), განზრახულია ახალი სანატორიუმის გახსნა.

ქალთა ყრილობა.

გუმბრი. გუმბრის მუშათა კლუბში გაიხსნა ქალთა სამაზრო ყრილობა. მონაწილეობას იღებენ 75 დელეგატი ქალები. დღის წესრიგში სდგას: კულტურულ-აღმზრდელობითი საქმე, კოოპერაცია, მიმდინარე მომენტი და სხვა.

პარტიული ცხოვრება

„კომსომოლეც“

2 ივლისს ნაძალადევის თეატრში შესდგა რკინის გზის მთავარი სახელოსნოების კომკავშირის უჯრედის წევრების კრება.

დღის წესრიგში იდგა საჰაერო ფლოტის საკითხი.

კრებამ მოისმინა ამხ. ასლამაზოვისა და პიტერსკის მოხსენებები და დაადგინა:

ეთხოვოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს აეროპლანის „კომსომოლეც“-ის შეძენის ნებართვა.

კრებამ დაადგინა ერთი დღის ხელფასი გადასდვას ამ მიზნისათვის.

გარდა იმისა, რომ კომკავშირი საბჭოთა რესპუბლიკების საზღვაო ფლოტის შეფია, ის უკან არ რჩება სხვა ორგანიზაციებს საჰაერო ფლოტის შექმნის საქმეშიც.

მოკლე მიმოხილვა პარტმუშაობისა გურიაში მაისის თვეში

ორგანიზაციაში შედის 36 თემკომი და 121 უჯრედი. დისციპლინა პარტ წევრებს შორის საკმაო დონეზე სდგას. ძლიერია ლტოლვა პარტიაში მისაღებად, მაგრამ პარტკომი ამ მოვლენას ძალიან ფრთხილად ეპყრობა, რათა პარტიაში არ შესძლოს შემოსვლა ულირს ელემენტებმა. უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული პოლიტ უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს. მაზრაში მუშაობს 4 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, მათში მოსწავლეთა რიცხვი უდრის 116 კაცს. მაისში გაიხსნა ოთხი სამკითხველო, კვლავ აღადგინეს მუშაობა სამმა.

პირველ მაისის დღესასწაული ჩატარებულ იქნა მაზრის მასშტაბით. ეს დღე შრომის განთავისუფლებისა კაპიტალის ბატონობისაგან, ღირსეულად დააფასა გურიის მშრომელმა მასამ, როცა მთელი მშრომელი გლეხკაცობა ერთსულოვნათ დარაზმული გამოვიდა ამ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ.

ქალთა განყოფილებას შეკავშირებული ყავს 200-მდე მუშა ქალი, ქალთა ინსტრუქტორი მუშაობს აგრეთვე უპარტიო გლეხის ქალთა შორის. უკანასკნელნი იკრიბებიან თვეში ორჯერ კრებებზე, სადაც ისმენენ ქალორგანიზატორის მოხსენებებს. ქალთა განყოფილებამ ჩაატარა სხვა და სხვა რაიონებში ხუთი უპარტიო ქალთა კრება. იმავე განყოფილების ხელმძღვანელობით, დაარსებულ იქნა ორი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, სადაც მეცადინეობს 49 გლეხის ქალი. დაარსებულია ერთი პოლიტ წრე, რომელშიდაც მეცადინეობს 35 ქალი.

სამაზრო ქალაქში მოეწყო დელეგატური კრებები ოთხჯერ, სადაც მუშაობა სწარმოებდა ცეკას ქალთა განყოფილების მიერ გამომუშავებული გეგმით.

დ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(5 ივლისი).

ჩერვონცები — — —	14,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	14,000
ჩეკები —	12,150
დოლარი ეფექტ. — —	3,200
ჩეკები —	2,900
ოსმალური ლირა — —	2285
იტალიური ლირა — —	100
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	155
საბჭ. ფულის ნიშნ. — —	20

სავალიუტო ბირჟის განწყობილება.

(5 ივლისი).

ჩერვონცების კურსმა გუშინდელთან შედარებით მნიშვნელოვნად აიწია, რაც აიხსნება ჩერვონცების კურსის აწევით ბაქოს და მოსკოვის ბირჟაზე. მოთხოვნილებას მიწოდება ვერ ფარავს.

მუშკოპის ფასები.

(5 ივლისი).

პური თეთრი—60 ათასი, პური 2 ხარისხ.—45, ფქვილი თეთრი—80 ათ. ბრინჯი აგდაშის—120 ათ. საპონი როსტოვის—340 ათ. კარაქი მანქანაში გატარებული—960, ყველი თუშური—460 ათ., ურლული—50 ათ., ლობიო მწვანე—80 ათ., კარტოფილი ახალი—49 ათ.

თბილისის ბაზრის ფასები.

(5 ივლისი)

პური თეთრი—80—100 ათ., პური 2 ხარისხ.—45—50 მ., ფქვილი თეთრი გირ.—100 მ., შაქარი რაფინადი—660, შაქრის ფხვნილი—430, ერბო—800 ათ. კარაქი—700—800, სამარხვო ზეთი—200 — 220, ლობიო მწვანე—80—120 ათ., კარტოფილი ახალი —40 ათ., კომბოსტო 75—80 ათ., ყველი თუშური—400 ათ., ყველი ნალებმოხდილი—200 ათ., ბურღული—60 ათ., ბრინჯი—აგდაშის—120, საპონი „ტოლე“—300 ათ., საპონი როსტოვის—340 ათ., საპონი მარმარილოს—300 ათ.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(5 ივლისს)

რკინის საგნები, გოგირდი, მავთული, ყუბანის ფქვილი 1, 2 და 3 ხარისხის, ღერღილი, მაკარონი, ვერმიშელი 1 ხარისხის, ოლიფა, რკინა სამურავებისათვის, ბარები, სამთითი, ჩაი „ინდოეთის ვარდი“, ერბო, ყველი შვეიცარული, ჩაი ცეილონის, მარილის სინდიკატის პროდუქცია, ცემენტი ნოვოროსიისკის, სრულიად რუსეთის ტყავეულობის სინდიკატის პროდუქცია, რეზინის ტრესტის ნაწარმოები, მანუფაქტურა რუსეთის, წუმწუმა რუსული, ოხრა. ლურსმანი, ბაწარი, საბეჭდი ქაღალდი 16×24.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(5 ივლისს)

ფქვილი უმაღლესი ხარისხის, ნარმა, რკინის საგნები, საღებავი ბაიერის, ცინკი, ულტრამარინი, სოდა კაუსტიკური, თუნუქი ინგლისური თეთრი, საპნის სუროგატი, შაბიამანი, სკიპიდარი, მუშის ფეხსაცმელები ავსტრიის, ტყავი ნედლი, თოკი ძნის შესაკვრელად, ქვამარილი, — ნახიჩევანის და ბაქოს, ლურსმანი.

საქონლის განყოფილების გარიგებანი.

ლურსმანი—5,85 ჩერვ. ფუთი გამყიდველის ფრანკო საწყობი, თოკი ძნის შესაკრავი ერთი მეხუთედი ჩერ. ფუთი ფრანკო-ბაქო.

ტფილისის ბაზრის განწყობილება.

ფქვილის ფასები მტკიცეა, ნედლი მასალათა ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა მატყლის. შაქრის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა, დანარჩენ ბაზარზე ცვლილება არ მომხდარა.

ტფილისის საფონდო ბირჟის გარიგებანი.

(25—30 ივნისამდე),

აღნიშნულ დროის განმავლობაში ტფილისის ბირჟაში გამოცხადდა 178 მუდმივი და 73 ერთდროულად მოსიარულე.

ამავე ხნის განმავლობაში მოხდა შემდეგი გარიგებანი: საფონდო 124 და საქონლის 9, ამასთანავე საფონდო გარიგებათა ჯამი უდრის 17464 ჩერვონცს ანუ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით (ათას მანეთ.) 234,780,350, ხოლო საქონლის გარიგებათა ჯამი—3383 ჩერვონცს, სულ მოხდა გარიგებანი 20,837 ჩერვონ., ანუ 280,148825 (ათას მანეთებში) მანეთ.

მყიდველებათ იყვნენ: სახელმწიფო ორგანოები 26, კოოპერატივები—7 საზოგადოებრივი ორგანოები—5 და კერძო პირები—95, გამყიდველებათ —სახელმწიფო ორგანოები—73, კოოპერატივები—7, საზოგადოებრივი ორგანიზაციები—19 და კერძო პირები—34; შეიძინეს: სახელმწიფო ორგანოებმა 4838 მან. ჩერვონცი, კოოპერატივებმა [illegible], საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა 4466 და კერძო პირებმა 210251. გაჰყიდეს ვალიუტა: სახელმწიფო ორგანოებმა 9037 მან. ჩერვონც, კოოპერატივებმა—930, საზოგადოებრივმა ორგანიზაც.—4733 და კერძო პირებმა 2764. იყიდეს საქონელი სახელმწიფო ორგანიზაციებმა—1190, კერძო პირებმა—2182 მანეთის; გაჰყიდეს საქონელი: სახელმწიფო ორგანოებმა—2523, კოოპერატივებმა—526 ნახ. და კერძო პირებმა 223.

სახელმწიფო ღვინის ტრესტში.

მყიდველებისათვის კრედიტის გახსნის შესახებ.

ტრესტის პროდუქციის გასაღების მიზნით გამგეობამ საჭიროთ სცნო მყიდველებს გაუხსნას კრედიტი ორი კვირის ვადით, მაგრამ იმ პირობით, თუ გადახდილი იქნება წინასწარ აქციზი, ამასთანავე კრედიტი გაეხსნებათ მყიდველებს ქარხნების გამგეობათა პასუხისმგებლობის ქვეშ 500 მილიონ მანეთამდე და სავაჭრო აგენტების პასუხისმგებლობით 200 მილიონამდე თვითეულ ქარხანაზე.

ამასთან ერთად გადაწყდა ანგარიშის გასწორება აგენტებთან მოხდეს ყოველ ნახევარ წლიწადის გასულს.

სასოფლო მეურნეობა

აგრონომიული დახმარების ქვეგანყოფილება.

ქორეის უბანში დახნულია ამერიკული ვაზის სანერგისა და ხეხილის ბაღისთვის მიწ-ანის თემში გაიხსნა იარაღების გასანათხოვრებელი პუნქტი. თვალავაძისეულ მამულში გასხლულია ხეხილის ბაღი. შორაპნის, თელავის და თიანეთის მაზრებში იმართებოდა ლექცია-საუბრები, სრ. რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მნიშვნელობაზე და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მანქანებით მიწის დამუშავებას, რიგში თესვას, თუ როგორი ჯიშები უძლებენ ფილოქსერას, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ სასოფლო მეურნეობის მავნეებს.

სოფლის მეურნეობის მავნეებთან მებრძოლი ბიურო.

გამოკვლეულია დუშეთის მაზრაში, მცხეთის რაიონი და გორის მაზრაში კავთისხევის, მცხეთის რაიონში საჩვენებელ მიზნით მოწამლულია 80 დესეტ, ხოლო კავთისხევისაში—12 დესეტ. გამოკვლეულია ქ. ალმასკომის თხოვნით ალთაგლის რაიონი. მიეცა სათანადო ინსტრუქცია ყარაიაზის რაიონის მცხოვრებთ, პურის მცენარის მავნებელ ბუზის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად. ეს მავნებელი ბუზი მოდებულია 300 დეს. სივრცეზე და თვითეული კვადრატულ ვერსს მოსდის 15—60 ბუზამდე.

კახეთში სწარმოებს კალიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც გაგრძელდება 2—3 კვირას, ვინაიდან კალია საკმაოდ გამრავლებულია: მარტო წნორის—ანაგის რაიონში გავრცელებულია 300 დესეტინაზე. ეს მავნეები გავრცელებულია აგრეთვე ჯუგაან-გამაანის და გურჯაანის რაიონში 1 კვად. არშინზე უწევს 80-დან—100-მდე კალია. მზესუმზირას ფოთლები მთლად შეჭმულია და ახალ ნათესებს აზიანებენ. მუშაობას აწარმოებს ოთხი ჯგუფი, თვითეულ ჯგუფს სათავეში უდგას ბიუროს ინსტრუქტორი: დაწყებულია მუშაობა წალკისა და ახალ-სენაკის რაიონებში, მავნებლებთან მებრძოლ ორგანიზაციის დასაარსებლად. ამას გარდა ბიურო იძლეოდა კონსულტაციებს მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის წარმოების შესახებ და აწარმოებდა გამოკვლევას მახლობელ რაიონებში.

საცდელ საქმეთა ქვეგანყოფილება.

საცდელ საქმეთა ქვეგანყოფილებამ კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურში მიიღო ენერგიული ზომები მისთვის აუცილებელ ტერიტორიის მოსაზომად და ნორმალურმუშაობისთვის შესაფერ პირობების შესაქმნელად.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორიაში დასრულდა კახეთის სახალხო მამულების ნიადაგების 22 ნიმუშისა და სამეგრელოდან მიღებული შლამის მექანიკური ანალიზი. აგრეთვე მოხდენილია რაჭის მინერალური წყლების 4 ნიმუშის ანალიზი, დასრულებულია სავსებით ანალიზი, სამეგრელოდან ჩამოტანილი მთის ჯიშების, სამი ნიმუშის ნაწილობრივი ქიმიური ანალიზი, ღვინის 6 ანალიზი.

ქართლის სახალხო მამულში სწარმოებდა აუცილებელი სასეზონო მუშაობა, მემინდვრეობა, მევენახეობა-მებოსტნეობის დარგში. საქარის საცდელ სადგურზე სწარმოებდა სასეზონო მუშაობა, მევენახეობა-მებოსტნეობა-მებაღეობის გარგში.

ბათომის ბოტანიკურ ბაღში თვის განმავლობაში მზადდებოდა თესლეულობის კოლლექცია, სუბტროპიკულ მცენარეთა ჰერბარიუმი, სისტემაში მოყვანილ იქნა არსებული ჰერბარიუმი. სწარმოებდა მეტეოროლოგიურ სადგურის დაკვირვებებს და აგრეთვე მიმდინარე მუშაობა, ბაღის სხვა და სხვა განყოფილებებში: მეაბრეშუმეობის დარგში თბილისის სააბრეშუმო სადგურზე სწარმოებდა ჭიის თესლის კონტროლი და განაწილება მეაბრეშუმეთა შორის, შემდეგ თვით აბრეშუმის ჭიის გამოკვება. ბაღში მოწყობილ იქნა თუთის ხის სანერგე, ზომით ერთი მესამედი დესეტ. ძველი სანერგედან სწარმოებდა უკვე დამზადებულ თუთის ნერგის გაყიდვა. მიმდინარე თვის განმავლობაში, სადგურში ჭიის თესლისა და სხვა მასალის გაყიდვიდან, შემოვიდა 321 მილიონი მან. გარდა ამისა სწარმოებდა მეცნიერული მუშაობა სადგურის ლაბორატორიაში მეაბრეშუმეობის დარგში.

მეფუტკრეობის დარგში მიმდინარე მუშაობის გარდა, გაკეთებულ იქნა ფიჭიდან 34 ფუთი სანთელი.

ქუთაისის სააბრეშუმო სადგურში სწარმოებდა:

ა) მეაბრეშუმეთა შორის ჭიის თესლის და თუთის ნერგების განაწილება-დარიგება, ბ) ჭიის თესლის გამოყვანა და ჭიის გამოკვების სამაგალითო მოწყობა, გ) ჭიისთვის რაციონალურად მოვლის შესახებ საჭირო ცოდნის გავრცელება მეაბრეშუმეთა შორის, დ) მეთესლეებისთვის საჭირო საგნების და იარაღების დამზადება.

საქონლის მოშენების ქვეგანყოფილება.

საანგარიშო თვეში „ოლგონის“-ს ფერმაზე მოწველილია 580 ფუთი და 9 გირ. რძე. 1,104,652,175 მან. ღირებული რძე გაიყიდა თბილისში. კომისარიატის სავაჭრო ქვეგანყოფილების მაღაზიის საშუალებით. დამუშავებულია ბოსტანი, რომელშიდაც დაითესა 12 ფუთი კართოფილი და სხვა თესლეულობა. დახნული და დათესილია სიმინდი 1 დესეტ., ხოლო საკვები ჭარხალი ერთი მეოთხედი დესეტ. მიწა. „ციხის ჯვრის“ ფერმაზე საფუტკრე ადგილი მოეწყო ფუტკრის საყრელად. გაიწმინდა ჯირკვებისა და ბუჩქნარებისგან მიწის საკმაო ნაკვეთი, რომელიც სათიბებს მიემატა. გატანილია ნაკელი და გაპოხიერებულია სათიბი. ადგილები შეკეთებულია ფერმამდე გზა—„საკოჭო“. ფერმაზე მიღებული რძე გაკეთებულია ერბოდ და ყველად. ქვეგანყოფილება იღებდა მონაწილეობას სრ. რუსეთის სამეურნეო გამოფენის მოწყობის საქმეებში. საინსტრუქტორო პერსონალი აძლევდა შესაფერ რჩევა-დარიგებას დაწესებულებათ და კერძო პირთ, საქონლის მოვლა-მოშენების მხრით. ქვეგანყ. წარმომადგენელი მონაწილეობდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პროექტის შედგენაში.

კოოპერაცია

დამატებითი ინსტრუქცია მთლიან მომხმარებელ საზოგადოებათა ორგანიზაციის ჩასატარებლათ (ინსტრუქტორებისათვის).

მთლიან მომხმარებელ საზოგადოებათა ორგანიზაციის ჩასატარებლათ ინსტრუქტორები, დამატებით იმ დებულებათა, რომლებიც იყო ამის შესახებ გამოცემული საორგანიზაციო განყოფილების მიერ, ხელმძღვანელობენ შემდეგი ინსტრუქციებით:

1) მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსებას წინ უნდა უძღოდეს მ. მ. ს.-ის სამოქმედო რაიონის შემოფარგვლა იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც იყო ნაჩვენები პირველ საორგანიზაციო ინსტრუქციაში.

2) ყოველივე რაიონში ინსტრუქტორი ჯერ შეასწორებს მომხმარებელ საზოგადოებათა ქსელს, რომელიც იყო დამტკიცებული ცეკავშირის გამგეობის მიერ, ადგილობრივი კოოპერატიული და სხვა ორგანოების მომუშავეთა ინფორმაციის მიხედვით, რისთვისაც ახდენს შესაფერ თათბირს.

3) ეს შესწორებული ქსელი ინსტრუქტორმა უნდა გამოიყენოს, როგორც სახელმძღვანელო მასალა და არა როგორც სავალდებულო სქემა.

4) მ. მ. ს-ის რაიონის ფაქტიური გამოჭრა უნდა იყვეს დამყარებული ადგილობრივი პირობების სრულ გამოკვლევაზე.

5) მ. მ. ს-ის რაიონი უნდა წარმოადგენდეს ეკონომიურ და კულტურულ ერთეულს—შერევა ისეთ პუნქტებისა, რომლებსაც არ ემხრობა მ. მ. ს. ცენტრი და—ობიექტიურათ შეუძლებელია მათ შორის ეკონომიური კავშირის განმტკიცება, არ უნდა იყვეს დაშვებული. ამასთანავე მ. მ. ს-ის შემოფარგვლა უნდა იყვეს დაინტერესებულ მცხოვრებთა ნების ყოფის შედეგი. საკითხები—რომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუნქტი დაინიშნოს მ. მ. ს-ის ცენტრათ, რომელი სოფლები, დაბები და სხვა დასახლებული პუნქტები მიეკრას აღნიშნულ ცენტრს, სად გაიხსნას განყოფილებები და ამ განყოფილებებს რომელი რაიონი დაუკავშირდეს — ყველა ეს უნდა დაისვას ფართო მასის წინაშე გასარჩევათ.

6) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ უნდა ქონდეს მცხოვრებთა საღ და შეგნებულ სურვილს. მხოლოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტის მოთხოვნა არღვევს მშენებლობის ელემენტარულ პრინციპებს, შეიძლება ინსტრუქტორმა გაატაროს თავისი ხაზი, მაგრამ ისიც საბოლოოთ უნდა დამტკიცდეს მ. მ. ს. რწმუნებულთა დამფუძნებელ კრებაზე.

7) მ. მ. ს-ის ცენტრი შეძლების დაგვარათ უნდა იყვეს მოთავსებული რაიონის შუა ადგილას — ის როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად უნდა წარმოადგენდეს ფაქტიურად რაიონის ცენტრს და ყველა პუნქტებისათვის უნდა იყვეს ხელმისაწვდომი, როგორც მიმოსვლის საშვალებებით, ისე მათ შორის არსებულ მანძილის სიდიდით. მისი საშვალო რადიუსი დაახლოვებით არ უნდა აღემატებოდეს ათ-თუთხმეტ ვერსტს. სასურველია, რომ მ. მ. ს. ცენტრათ იყვეს აღებული ერთი, რომელიმე ძლავრი და მოძრავი კოოპერატივი.

8) როგორც საერთო კანონი, მ. მ. ს-ის რაიონი უნდა იყვეს დაყოფილი ქვერაიონებათ, სადაც გაიხსნება მ. მ. ს-ის განყოფილებები. ქვერაიონებიც მ. მ. ს. რაიონის მზგავსათ უნდა წარმოადგენდეს მცირე რაიონის ეკონომიურ და კულტურულ ერთეულს და ამიტომ ქვერაიონების გამოჰყოფის დროსაც, საჭიროა იხელმძღვანელოს ინსტრუქტორმა იმ მოსაზრებებით, როგორც ეს იყო ნათქვამი მ. მ. ს-ის რაიონის შესახებ.

9) წინასწარ, სანამ მ. მ. ს. მოეწყობოდეს, ინსტრუქტორს უნდა ქონდეს შეგროვილი ფაქტიური მასალები მ. მ. ს-ის რაიონის შესახებ. ეს მასალები შესდგება რაიონის ეკონომიურ და კულტურულ ცნობებიდან, ე. ი. ა) რომელი პუნქტი წარმოადგენს ამა თუ იმ რაიონის ეკონომიურ-კულტურულ ცენტრს და რაში გამოიხატება ეს თვისებები (ბაზრობა, მსხვილი სავაჭრო დაწესებულებები, სკოლები და სხვ.), ბ) რა მანძილი და როგორი მიმოსვლა არის ამა თუ იმ პუნქტებიდან მ. მ. ს-ის ცენტრამდის, გ) რომელი სოფლები, დაბები და სხვა დასახლებული პუნქტები უნდა მიეკრას მ. მ. ს. ცენტრს, აგრეთვე კერძოთ მის განყოფილებებს, დ) მცხოვრებთა რაოდენობა თვითეულ დასახლებულ [illegible] ეროვნული შემადგენ[illegible] [illegible]ბათა უმთავრესი [illegible] ყველა დარ[illegible] ამიტომ სა[illegible] კოოპერა[illegible] თ) ცნობები კერძო და სხვა სავაჭრო აპარატის შესახებ (კერძო დუქნები, ფეხზე მოვაჭრეები, სახელმწიფო ან მუნიციპალური სავაჭროები და სხვა.)

9) შეგროვილი ცნობები უნდა იძლეოდეს მასალას, დაახლოვებით მაინც, მ. მ. ს-ის რაიონის ეკონომიური მონოგრაფიის შესადგენათ.

10) მ. მ. ს-ის რაიონის მცხოვრებთა საერთო რიცხვი უნდა დაედოს საფუძვლათ რწმუნებულთა საერთო რიცხვის და წარმომადგენლობის ნორმის განსაზღვრას. რწმუნებულთა საერთო რიცხვი უნდა განისაზღვრებოდეს ოცდა ათიდან ორმოცდა ათამდე (განსაკუთრებულ შემთხვევაში დასაშვებია მეტი რიცხვი რწმუნებულებისა, მხოლოთ არა მეტის ასისა).

11) რწმუნებულთა არჩევა ისე უნდა გატარდეს, რომ ყოველივე დასახლებულ პუნქტს, მიუხედავათ მისი მცხოვრებთა რიცხვისა, ხვდეს არა ნაკლებ ერთი რწმუნებულისა.

12) რწმუნებულების არჩევნები უნდა ჩატარდეს სოფლობრივ, იმ სისტემით, როგორც ეს არის მიღებული საბჭოთა არჩევნების დროს. სოფლების კრებებზე ირჩევა საკითხები. ა) მ. მ. ს-ის დაარსება, მისი მშენებლობის პრინციპები, წესდება, ცენტრის ამორჩევა და სხვა. ბ) საწევრო გადასახადის რაოდენობა და მისი შეგროვის წესი. გ) თუ არსებობს ამ პუნქტში კოოპერატივი, მისი მ. მ. ს.-თან შეერთება. დ) განსაზღვრულ მ. მ. ს-ში შესვლაზე თანხმობა და მისი ამა თუ იმ განყოფილებასთან დაკავშირება. ე) განყოფილების ცენტრის ამორჩევა. ვ) სხვა ადგილობრივი კითხვები.

13) ყველა აქ მოყვანილ კითხვებს [illegible] ყრილობისათვის, აქვს საინფორმაციო და ახსნა-განმარტების ხასიათი გარდა ორისა, სახელდობრ პუნქტები გ. და დ.

14) რწმუნებულების არჩევის შემდეგ, ჯერ ხდება კრება ქვერაიონების რწმუნებულთა, სადაც ისმება თითქმის ყველა საკითხები, რაც იყო დასმული სოფლის ყრილობებზე. საბოლოოთ იჭრება საკითხი ქვერაიონის ცენტრის შესახებ და ირჩევა განყოფილების სადუქნო კომისია.

15) როდესაც ყველა ქვერაიონების კრებები ჩატარდება, მოიწვევა მ. მ. ს. მთელი რაიონის რწმუნებულთა კრება, რომელიც არის ფორმალურათ მ. მ. ს. დამფუძნებელი კრება.

16) მ. მ. ს-ის რწმუნებულთა დამფუძნებელი კრება არჩევს და საბოლოვოთ სწყვეტს შემდეგ საკითხებს: ა) მ. მ. ს-ის რაიონის შემოფარგვლა და მისი ცენტრის დამტკიცება, ბ) განყოფილებების რაიონის საბოლოვოთ გამოჰყრა. გ) საწევრო გადასახადის საბოლოვოთ განსაზღვრა და მისი შეგროვების წესი. დ) წესდების განხილვა და მისი მიღება.

შენიშვნა: ვინაიდან წესდება დამტკიცებულია უმაღლესი ორგანოს მიერ, რწმუნებულთა კრება მხოლოთ არჩევს მას და უცვლელათ იღებს.

ე) ხარჯთ აღრიცხვის და სამოქმედო გეგმის გარჩევა და დამტკიცება.

ვ) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა.

ზ) ყველა სხვა ადგილობრივად წამოჭრილი საკითხები.

17) ყველა აღნიშნულ კრებების შესახებ იწერება შესაფერისი ოქმები, რომლის ასლი ინსტრუქტორს თან უნდა ქონდეს ცეკავშირში წარმოსადგენათ.

18) წესდების სამ ეგზემპლიარს ხელს აწერს რწმუნებულთა დამფუძნებულ კრების არა ნაკლებ ხუთი წევრისა და შესაფერისათ შევსებული ეგზავნება სხვა მასალებთან ერთად, საორგანიზაციო განყოფილებას რეგისტრაციისათვის.

19) მთელი რაიონის კრების დამთავრების შემდეგ ინსტრუქტორი აგროვებს ყველა მასალებს, მოიყვანს მათ სისტემაში, ადგენს რუქას სადაც აღნიშნავს ყველა მ. მ. ს. რაიონებს, მათ ცენტრებს, განყოფილებებს და დასახლებულ პუნქტებს, რომლებიც შედიან განყოფილებაში, გზებს, მდინარეებს და სხვა მნიშვნელოვან ცნობებს.

20) ყველა მასალები ინსტრუქტორის მოხსენებით წარედგინება საორგანიზაციო განყოფილებას.

21) რადგან ყველა აქ მოყვანილი მუშაობა მოითხოვს დიდ ძალას და დროს, ამიტომ ინსტრუქტორი გამოიყენებს ყველა ადგილობრივ კოოპერატიულ თუ სხვა დამხმარე ძალებს,—ადგენს საორგანიზაციო კომისიებს იმ წესით, რომელიც ნაგულისხმევი იყო წინა ინსტრუქციებით და მათი საშვალებით გაატარებს მთელს კამპანიას.

22) სასურველია, რომ ინსტრუქტორი დაესწროს ყველა უმთავრეს კრებებს და აუცილებლივ უშვალო მონაწილეობა მიიღოს ყველა სადავო კითხვების გადაჭრაში.

23) ის კითხვები, რომლების გადაჭრაც ადგილობრივათ სიძნელეს წარმოადგენს, ან გაუგებრობას ქმნის, აუცილებლათ უნდა გადმოეგზავნოს საორგანიზაციო განყოფილებას განსამარტავათ.

24) ყველა კრებებზე ინსტრუქტორი, გარდა საერთო კოოპერატიულ ახსნა-განმარტებისა, დაწვრილებით განუმარტავს მსმენელებს წესდების შინარს და მ. მ. ს. მშენებლობის სისტემას.

25) უმთავრესი ყურადღება ინსტრუქტორმა უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ მ. მ. ს—ბათა მშენებლობა არ იყვეს გაგებული, როგორც ზევიდან თავსმოხვეული, ან ხელისუფლების ორგანიზაცია. ამავე დროს არაფრის გზით არ უნდა ქონდეს ადგილი გადამეტებულ შეპირებებს.

მ. მ. ს. არის ადგილობრივი მეურნეობის ორგანიზაცია და მას უნდა ასულდგმულებდეს ადგილობრივი თაოსნობა და თვითმოქმედება—მ. მ. ს. უმთავრესად იმოქმედებს ადგილობრივი საშუალებებით.

27) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწევრო გადასახადის შეგროვებას, რომელშიაც ინსტრუქტორები იხელმძღვანელებენ ამის შესახებ დამუშავებული ცირკულიარული წერილით.

ცეკავშ. სეკრეტ. გამგე
გამგ. წევრი **ერ. წივწივაძე.**
საორგ. საინსტრ. განყ.
გამგის მაგიერ **ა. ბაბუნაშვილი.**

საქართველოს აგარაკები

7. უწერა, შოვი.

[illegible]ონიდან სოფელი უწერა თავის [illegible]ალურ წყლებით 13 ვერსით [illegible] დაშორებული. მდებარეობა აგა[illegible] უწერის მეტად მხატვრულია, იგი [illegible]შენებულია ციცაბო მთის ფერდობის ძირას, შემორტყმული ასწლოვან [illegible]ლევამოსილი ტყით, რომელიც [illegible]ვრესად ნაძვისგან შესდგება.

[illegible]და—უწერაში გზის პირად შკო[illegible] შენობის პირდაპირ გამოდის [illegible] რაოდენობით რკინის წყალი; [illegible]ელიც ქვით შემოვლებულ 2 არშ. [illegible]რძის და 1 ნახ. არშ. სიგანის აუზს [illegible]მოადგენს: წყლის ტემპერატურა [illegible]ის 11° C. დებიტი საკმაოდ დი[illegible] ეს წყარო მაინცა და მაინც არ [illegible] ცნობილი და არც მისი ექს[illegible]ატაცია ხდება. უწერის სახელ[illegible]ქმული მინერალური წყაროები [illegible]დის უფრო ზევით; ამ წყაროდან 1 ვერსის დაშორებით, წყაროების მახლობლად, ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში გაშენებულია 30 მდე ლამაზად აგებული სახლი. უწერაში წყარო სამია; ორი რკინის წყარო რიონის მარჯვენა მხარეზე უწერის საგარაკო სახლების მახლობლად—ამ წყაროებთან აგებულია საბინაო შენობები ვანებით; და ერთიც ნახშირჟანგა-ტუტოვანი წყარო რიონის მარცხენა ნაპირზე, ამ უკანასკნელ წელს ხმარობენ მხოლოდ სასმელად.

ნახშირჟანგა ტუტიანი წყარო.

წყარო გამოდის რიონის მარცხენა მხარეზე ხვარას—მთის ფერდობზე, ზღვის დონიდან 3.420 ფუტი. ხოლო რიონიდან 400 ფუტის სიმაღლეზე. წყარო მოაწყო და გააკეთა მისმა ყოფილმა მეპატრონემ გამყრელიძემ. შოსე გზიდან, წყარომდე გაყვანილია საურმე გზა. რიონზე გასასვლელად გაკეთებულია ხის ხიდი. შოსე გზიდან წყარომდე 8—10 წუთის სავალია, წყარო მოწყობილია ქვის პატარა ჭაში. წყლის ტემპერატურა—11° C დებიტი= 90 ვედროს დღეში. წყლის ანალიზი პირველად მოახდინა ქიმიკ. შტაკმანმა 1892 წ. წყაროს ზემოთ პატარა ქვის შენობაა. აგრეთვე მახლობლად გაკეთებული ხის ფანჩატური სტუმრებისათვის, აქედან მოსჩანს რიონის ხეობის საუცხოვო სანახაობა.

უწერას თავისი დიდებული აზოტჰარბ ჰავით და ძვირფასი და მაღალი ღირსების მინერალური წყლებით, საუცხოვო ბუნებით, დიდი ხნიდან სახელ განთქმულია არა მარტო რაჭელ მოსახლეობის, არამედ დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-კავკასიის მცხოვრებთა შორის და ცხადია ამ ღირსებით აღჭურვილს აუცილებლად შეეძლო გამხდარიყო უდიდეს და უმშვენიერეს კურორტად საქართველოში, რომ მიმოსვლის საქმე მოგვარებულიყო.

ახლა კი უწერაში ჩვეულებრივ გროვდება 700—800 მოაგარაკე, რომელნიც უმთავრესად დასავლეთ საქართველოდან მოდიან, საგარაკო სახლები შეიცავს დაახლოვებით 100—150 ოთახს. ამ ჟამად ონთან უწერას აერთებს შოსე გზა და ტელეფონ-ტელეგრაფი.

გლოლის რკინის წყალი.

უწერიდან 7 ვერსზე გავდივართ რიონს გაღმა მარცხენა ნაპირზე გლოლის ხიდზე. აქედან რიონი მარცხნით მიიმართება და მის ხეობას მიყვება გზა სოფ. ღებისკენ გლოლის ხიდთან იქვე გასდის რკინის წყალი, რომლის ტემპერ.=10°c. დებიტი 2000 ვედრო დღეში.

გლოლის ხიდს ზევით სამხედრო-ოსეთის გზა მიუყვება მთის ფერდობს და მიდის სქელი ტყის ტევრში რიონის შენაკად ჭანჭახის წყლის ხეობის პირად. ტყე შერეულია. წიწვოვან ხეებს შორის სჭარბობს ფიჭვი, აქა იქ გვხვდება ნაძვიც. გლოლა მთის პატარა სოფელია, გაშენებულია 4650 ფუტის სიმაღლეზე, ჭანჭახის წყლის მარჯვენა გორებზე, გზასთან აღმართულია ორი ძველი ციხე-კოშკი, რომელიც ოდესღაც ხეობის შესავალს იცავდა.

შოვი.

3 ვერსს იქით გლოლიდან იწყება შოვის ველი,, რომელიც მთის ქედის ძირას ერთი ვერსის მანძილზე გაჭიმული, მთა, რომელიც დასცქერის შოვის ველს, შემოსილია ფიჭვნარის სქელი ტყით. გლოლა-შოვის მიდამოების ძლევამოსილ წიწვიან ტყეებს განცვიფრებასა და აღფრთოვანებაში მოყავდა ყველა ტურისტი-მოგზაური, რომელსაც უნახავს ეს დიდებული ჭალაკი, შოვის მდებარეობა საქართველოს ერთ მოხიბლულ და თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენს. შოვზე გარშემორტყმული ხუჭუჭის ტყით შემოსილ ჭალაზე, რამოდენიმედ დაშორებით აღმართულია მწვანე მოშავო მთები, ამ მთებს იქით სავსებით ინაკვთებიან განსაცვიფრებულად თეთრი, თოვლით შემოსილი მთები და მთის მწვერვალები: ბუპის წვერი, დოლომის წვერი, შოდა განსაკუთრებით მომჯადოვებელი პანორამა იშლება თვალწინ, როცა გაჰცქერით კავკასიონის მთავარ ქედის, თოვლიან მოხაზულობას, რომელიც თავისი მოჩვენებით სიახლოვით ადამიანს თვისკენ იზიდავს. ფირუზის ფერი ლაჟვარდი ცა, ფაქიზი და ანკარა ჰაერი ნაზი სითბოთი ნაძვის სურნელებით შეზავებული, დამამშვიდებელი მყუდროება. გარშემო და ამ მყუდროებაში რუს მოშორებული რაკრაკი, რომელსაც რამდენიმედ ანელებს სიშორე და გარშემორტყმული ხეები, გარშემო ბუნების მომხიბვლელ ჰანგებად გაისმის.

გზიდან 10 წუთის სავალზე დიდს კლდოვან ლოდს ქვეშ გაზის ბუშტების ამოსროლით და ხმაურით გამოდის რკინის წყალი. წყლის ტემპერატურა 12° c და დებიტიც ფრიად მნიშვნელოვანია: წყალი მიმდინარეობს ქვევითკენ. მოზრდილი ნაკადულად წყაროდან ორი მეტრის ზევით პატარა გამოქვაბულში კიდევ სდუღს და ხმაურობს წყალი, მაგრამ რაკი გამოსავალს ვერ პოულობს და მიწაში მიიპარება და შემდეგ მგონია ზემოხსენებულ წყაროს აუზს უერთდება. აქედან 30 მეტრზე არყის ხის ძირას გამოდის მეორე რკინის წყარო, რომლის დებიტიც 6 პირველზე გაცილებით ნაკლებია. მიწა მის გარშემო შეღებილია წითლად და ახლო მშვენიერი დასალევი წყლის წყაროა. შოვის ჭალაზე, გარდა ამ რკინისა და ნახშირჟანგ წყაროებისა, გზის ქვემოდ მდინარის პირად არის ტუტოვანი წყარო, რომლსაც საუცხოვო გემო აქვს, და უკეთესი იქნება, რომ მდინარის წყალი არ ერიოს.

ამ 10 წლის წინად „შოვის“ სანატორიუმად მოწყობის საქმე იკისრა ექიმმა ამხ. შამშე ლეჟავამ, მაგრამ მრავალ დაბრკოლებათა გამო, საქმის მკვდარ წერტილიდან დაძვრა ვერ მოხერხდა. ამ ჟამად როგორც მკითხველებმა იციან, თვით მთავრობამ მოკიდა საქმეს ხელი და იმედია ახლო მომავალში ჩვენ გვექნება საუკეთესო კურორტი - სანატორიუმი „შოვი“.

იშვიათი გამოცემა

მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა ყოველთვის სახიერდებოდა შესაფერ სიმღერებში. ამას ამტკიცებს მრავალი რევოლიუციონური სიმღერები, კერძოთ კი „ინტერნაციონალი“ და „მარსელიოზა“. რუსეთის მიმდინარე დიდ რევოლიუციასაც აქვს შესაფერი ხმათა სფერო, რომელიც რუსეთში თვითმპყრობელობის დამხობამდე ჩახშული იყო, როგორც სხვა მრავალი რევოლიუციონური მისწრაფებანი.

მაგრამ დაამხო თუ არა რუსეთის რევოლიუციამ თვითმპყრობელობა, მაშინვე შესაძლებლობა შეიქნა რევოლიუციონური სიმღერების ფართო მასისათვის გამოცემა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ოქტომბრის რევოლიუციამდე, თებერვლის რევოლიუციის დროსაც არ ექცეოდა ამ საკითხს ყურადღება და რევოლიუციონური სიმღერების გამოცემა ხელში ჩაიგდეს კერძო გამომცემლებმა. თავისთავად ცხადია, რომ რევოლიუციონური სიმღერების გამოცემა კერძო გამომცემლებისაგან, რომლებსაც მხოლოდ ვაჭრული მიზანი ჰქონდათ დასახული, ვერ აღწევდა თავის მიზანს და დანიშნულებას და ეს იმიტომ, რომ არც კილო და არც ტექსტი სწორად არ იწერებოდა. კერძო გამომცემლებს არავინ კანტროლს არ უკეთებდა.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კი ეს საკითხი სულ სხვაგვარათ იქნა დაყენებული, საბჭოთა ხელისუფლება სერიოზულათ მიუდგა მას, რის შედეგი დღეს ყველასათვის თვალდანახული არის. დღეს რუსეთში მოიპოვება ძვირფასი მუსიკალური გამოცემები როგორც რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობისა, აგრეთვე რუსეთის პროლეტკულტის და წითელი არმიის.

საქართველოს გასაბჭოებამდე აქ ისეთივე სურათს ვხედავთ, როგორც რუსეთში—ოქტომბრის რევოლიუციამდე.

ფაქტია, რომ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე არც ჩაწერილა და არც გამოცემულა არც ერთი რევოლიუციონური სიმღერები.

საბჭოთა ხელისუფლება კი საქართველოში ენერგიულათ შეუდგა მუშაობას ამ საკითხის მოსაგვარებლად; და ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ყოველ საზეიმო შემთხვევებში რესპუბლიკის სამუსიკო ერთეულები (გუნდები და ორკესტრები) ასრულებენ სარევოლიუციო სიმღერებს, მაგრამ მაინც ეს რევოლიუციონური სიმღერები ჯერ-ჯერობით ხელმისაწვდომია მხოლოდ ცენტრისათვის, პროვინცია კი მოკლებულია ამას.

ეს გარემოება კი გვიკარნახებს, რათა რევოლიუციონური სიმღერები შეგროვილ იქნას და დაბეჭდილი ერთ კრებულათ, რომელიც გახდება ყველასათვის ხელმისაწვდომი. ასეთ მოთხოვნილებას ს. კ. პ. ცეკას აგიტპროპმა და პოლიტგანათლებამ გაუწია ანგარიში და რამდენიმე თვის უკან დაიწყო ამ საქმის განხორციელება, რისთვისაც მოწვეული იქნა კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი, რომელსაც დაევალა ყოველნაირი მასალების შედგენა და გადამუშავება, შემდეგ კი მათი სპეციალურ კომისიებში გატარება.

დღეს ეს მუშაობა დამთავრებულია და პირველი გამოცემისათვის დამზადებულია 12 რევოლ. სიმღერა, რომელიც უნდა გამოიცეს კრებულათ. პირველ კრებულში შედის შემდეგი რევოლ. სიმღერები: 1. ინტერნაციონალი 2. მუშური მარსელიეზა, 3. ვარშაველი, 4. წითელი დროშა, 5. მებრძოლნო გავსწიოთ მწყობრად, 6. მჭედლები, 7. მზეო ამოდი ნათელო, 8. კომუნარების მარში, 9. სამგლოვიარო მარში, 10. არსენა ჯორჯიაშვილი, 11. კომუნისტური მარსელიეზა და 12. საბავშვო ინტერნაციონალი.

მეორე კრებულში შედის შემდეგი სიმღერები, 1. პირველი მაისის ჰიმნი, 2. პროლეტარების სიმღერა, 3. ადსდეგ მუშავ შენ, 4. ჩვენი კოშკი (ერთი ხმისთვის), 5. გრდემლის სიმღერა, 6. ჩვენი კოშკი (გუნდისათვის), 7. კატორღელთა მარში და მუშების სიმღერა.

კრებული გამოვა ორი ტექსტით: ქართულით და რუსულით. ამნაირათ კრებული შეიძლება გავრცელდეს როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეშე.

ვინაიდან კრებულს ისტორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და იგი ინტერესს წარმოადგენს ყველა რევოლიუციონერისათვის, ამიტომ ეს კრებული უნდა გასაღდეს, რაც შეიძლება მალე, რომ საშუალება დარჩეს მეორე კრებულის გამოცემისა პოლიტგანათლების მთავარმმართველობა, რომელიც აწარმოებს კრებულის გამოცემის პრაქტიკულ მუშაობას, მიმართავს სათანადო ორგანიზაციებს აქედანვე დაიკვეთონ ეს ძვირფასი და იშვიათი გამოცემა და ხელი შეუწყონ მის გავრცელებას ფართო მასაში.

კრებულს გამოსცემს სახელმწიფო გამომცემლობა.

ხანდრო ე—ლი.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში

ფიზიკური კულტურა

კავშირების კულტგანყოფილების გამგეების მიერ მოწვეული იყო სხდომა, რომელმაც ითათბირა ფიზიკურ კულტურის შესახებ და მოისმინა ამხანაგ ზურტურიძის მოხსენება ამ დარგში. კრებამ ერთხმად დაადგინა, გახადოს სავალდებულო ყველა კავშირებისთვის, ფიზიკურ კულტურის შესწავლა.

ჭიათურის თეატრი

ჭიათურის მუშათა კლუბთან—თეატრთან მოეწყო მუშათა დრამატიული წრე. წრე კარგად არის მომზადებული და უახლოეს მომავალში დასდგამს რევოლიუციონურ პიესებს. პროფორგანიზაციას აზრად აქვს გასცეს იჯარით კლუბთან არსებული ბუფეტი, რომლის შემოსავალი გადაიდება თეატრის საქმისთვის.

სამთომადნო კავშირში

მუშათა სასადილოები

ჭიათურის რაიონულ გამგეობამ მიანდო პრეზიდიუმს, მოაწყოს ჭიათურაში ვაგონების მტვირთავ მუშებისათვის სასადილო.

ბინების შეკეთება

ჭიათურის შავი ქვის მრეწველებს მიეცათ წინადადება, შეაკეთონ მუშათა საცხოვრებელი ბინები, რადგან არსებული ბინები უვარგისია საცხოვრებლად.

მიწა-ტყის კავშირში

მეფუტკრეობის კურსები

შორაპნის მეფუტკრეობის კურსებში სწავლა დაამთავრა 20 კაცმა, რომელთა შორის 9 ქალია.

მუშების დაზღვევა

რადგან დაზღვევის საქმე სახალხო მამულებში ვერ არის მოგვარებული, პრეზიდიუმმა დაადგინა, სთხოვოს ცენტ. დამზღვევ კასას მიიღოს ზომები, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილ იქნას ეს საკითხი.

ბავშვთა ახალშენი

კულტგანყოფილებამ დაადგინა: 1 თვის შემდეგ მოახდინოს კოჯორში გაგზავნილ ბავშვების ადგილობრივ შემოწმება. სრულიად გაჯანსაღებული ბავშვები დაბრუნებული იქნებიან თბილისში. მათ მაგივრად გაიგზავნებიან ავადმყოფი ბავშვები.

კულტ-მუშაობა დასასვენებელ სახლში

ახლად გახსნილ ბორჯომის და წაღვერის მუშათა დასასვენებელ სახლების კულტ-განყოფილებამ გაუგზავნა ქართულ რუსულ-სომხურ ბიბლიოთეკებს და გამოუწერა ადგილობრივი და რუსეთის ჟურნალ-გაზეთები.

სტიპენდიები

კულტ განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა სახ. განათლების კომისარიატის წინაშე, რათა მუშათა ფაკულტეტში დაინიშნოს მუშებისთვის 200 სტიპენდია.

მედიკო-სანიტ. კავშირში

მედიკო სანიტარულ კავშირის მესამე ყრილობა

მედიკო სანიტარულ კავშირის მესამე ყრილობა გადაიდო 1 ოქტომბრისათვის. მანამდე მაზრებში მოეწყობა სამაზრო ყრილობები, სადაც გამომუშავებულ იქნება ყრილობისთვის პროგრამა.

მუშათა ცენტრალურ კლუბში

ივნისის შუა რიცხვებში მუშათა ცენტრალურ კლუბთან არსებულ პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში დამთავრდა უკანასკნელი გამოცდები მსმენელებისა. მსმენელთა შემადგენლობა უმთავრესათ პროლეტარულია 17-30 წლამდე სკოლებს ხელმძღვანელობს გამოცდილი მასწავლებელი ამხ. ნ. რაევი. უსახსრობისა გამო მსმენელებს დიდ გაჭირვებაში უხდებოდათ მეცადინეობა; არ ჰქონდათ სახელმძღვანელოები, წიგნები ამა თუ იმ საგანში, რის გამოც მასწავლებლებს უხდებოდათ კონსპექტების შედგენა. სკოლის დავთრებიდან ირკვევა, რომ მსმენელები მუყაითად დაიარებოდნენ გაკვეთილებზე, ცოდნის მხრით ბევრი რამ შეუძენიათ ისეთ საგნებში, როგორიც არის რუსული ენა, ანგარიში, ელემენტარული გეომეტრია, ეკონომიური გეოგრაფია და სხ.

ორივე სკოლაში სწავლა გრძელდებოდა 7 თვეს და ამ ხნის განმავლობაში საკმარისათ შეუთვისებიათ ზემოთ ჩამოთვლილი საგნები; სახელდობრ 1-ლ საფეხურის სკოლაში განვლილია საგნები შემუშავებული პოლიტ.-განათლების მთავარ მმართველობის პროგრამით; მე-2 საფეხურის სკოლაში კი— სახ. განათლ. კომ. შრომის სკოლების პროგრამის სივრცით.

უკანასკნელი გამოცდები დამთავრდა ორივე სკოლაში ივნისის შუა რიცხვებში. გამოცდებზე დაესწრნენ წარმომადგენელნი: თბილისის პოლიტ. განათლების, პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების და მ. ც. კლუბის გამგეობისა. გამოცდები კარგათ ჩატარდა; თითქმის ყველა მსმენელი ცოდნით არის აღჭურვილი.

უფრო კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს ანგარიშში, ელემენტარულ გეომეტრიაში, ეკონომიურ გეოგრაფიაში.

გამოცდებზე მსმენელებმა თვისი ნახატები—და წარმოადგინეს; აგრეთვე მათივე გამოცემული ხელთნაწერი ჟურნალი სალიტერატურო და სამხატვრო ნაწილით ჟურნალში მოთავსებულია მსმენელების ლექსები, მოთხრობები და ნახატები.

1-ლი საფეხურის სკოლა რუსულ ენაზე დაამთავრა 21 მსმენელმა მე-2 საფეხურისა რუსულ ენ. დაამთავრა —19 მსმ. მსმენელებს დიდი სურვილი აქვთ სწავლა გააგრძელონ მუშათა ფაკულტეტზე. საჭიროა ასეთ სკოლებზე ყურადღების მიქცევა, საჭირო თანხა და მოვლა, რადგან ამ სკოლებში უმთავრესად მუშათა კლასი და მათი შვილები იყრიან თავს, მათ სწყურიათ განათლება. ზაფხულში დამთავრებული მსმენელები მიზნათ ისახავენ სამეცნიერო ექსკურსიების მოწყობას.

ი. ელიაშვილი.

წითელ ჯარში

№ ლეგიონი საგარაკოთ გასულია ქ. სურამში. მუშაობა სწარმოებს გაორკეცული ენერგიით, როგორც აგარაკის მოწყობის მხრივ ისე სხვა დარგებშიც.

სკოლა.

წერა-კითხვის უცოდინარ წითელ არმიელთა რიცხვი № ლეგიონში აღემატება 600 კაცს. როგორც ნაწილის მიერ, ისე პოლიტ-განყოფილების სასკოლო ქვეგანყოფილების მიერ იქნა თავის დროზე მიღებული ზომები და ნაშოვნი საჭირო კადრი მასწავლებლებისა, რომელთაგან ოთხი არის შტატის მასწავლებელი, 13 შტატგარეთ დაქირავებული და სამიც წითელ არმიელნი. მეცადინეობა სწარმოებს სამოქალაქო სკოლის შენობაში, მაგრამ ოთახები საკმარისი არ არის და ზოგიერთ ჯგუფს უხდება მეცადინეობა პალატკებში.

ჯამაგირით მასწავლებლები კმაყოფილდებიან თავის დროზე. სამოსწავლო წიგნები და ნივთები საკმარისი აქვთ. წითელ არმიელები ძალიან დაინტერესებული არიან წერა-კითხვის სწავლით.

პოლიტ-საათი.

პოლიტ-საათის მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურათ. მეცადინეობა სწარმოებს ყოველდღიურათ დილ-დილობით. პოლიტ-საათის მეცადინეობას აქვს საუბრის ხასიათი, რაც იწვევს წითელ-არმიელებში დიდ ინტერეს.

უფროს შემადგენლობასთან პოლიტიკური მეცადინეობა სისტემატიურათ მიმდინარეობს.

პარტიული სხდომები.

კომუჯრედის სხდომები იმართება თავის დროზე. საერთო პარტიული კრებებიც თვეში ორჯერ.

სამკითხველო.

ბიბლიოთეკაც თავის დროზე აწვდის ჟურნალ გაზეთებს წითელ-არმიელებს. ამზადებს სხვა და სხვა პლაკატებს და ლოზუნგებს სხვა და სხვა კამპანიისათვის; არის ნაკლულევანება ქართულ წიგნებში.

კლუბი.

არჩეულია ახალი საკლუბო საბჭო, რომელმაც აიღო სურამის თეატრი, სადაც იმართება წარმოდგენები.

დამოკიდებულება სხვა ნაწილებთან კარგია. იმართება საერთო კრებები. სხვა და სხვა საკითხების გასარჩევათ.

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალში

7 ივლისს არის დანიშნული გასარჩევად საქმე სადგურ სვირის უფროსის ყოფილ თანაშემწის ნიკოლოზ კრილოვისა, რომელსაც ბრალათ ედება ეროვნული მტრობისა და შუღლის გამოწვევა, აგრეთვე გამოგონება და გავრცელება ცრუ ხმების და შეუმოწმებელ ცნობებისა, რომელთაც შეუძლიანთ სახელი გაუტეხონ საბჭოთა ხელისუფლებას.

საბრალმდებლო დასკვნაში, კრილოვის მიერ ჩადენილი სადანაშაულო მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხ. სამ. კოდ. 1 ნაწ. 84 და მე-2 ნაწ. 73 მ., აღწერილია შემდეგნაირად: 1) ა. | წ. 22 მარტს, სად. ყვირილაზე, ამავე სადგურის მუშებისა და მოსამსახურეების იქ ყოფნის დროს, კრილოვმა მოიხსენა მაგინებელ სიტყვებით ქართული ენა; ამბობდა, რომ საქართველოში ყველა სადგურის უფროსები რუსები უნდა იყვნენო და ამასთანავე ფანქრით გადახაზა ქართულ ენაზე დაწერილი განცხადება; 2) ამავე დროს კრილოვი ავრცელებდა ხმებს, ვითომც რამოდენიმე თვის შემდეგ ყველა მოსამსახურეები ამიერ-კავკასიაში იქნებიან რუსებიო.

ქრონიკა

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოში.

— **რესპუბლიკების ხარჯთ აღრიცხვა.** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს და აზერბეიჯანის შემოსავალ - გასავალის ხარჯთ-აღრიცხვა.

— **სიმინდის ექსპორტი.** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ აუცილებლათ იცნო, დაწყებულ იქნეს, სიმინდის გატანა საზღვარ-გარეთ და წინადადება მისცა ა.-კ. საფინანსო კომისარიატს —ცეკავშირის განკარგულებაში გადასდოს მოკლე ვადიანი სესხის სახით სიმინდის ექსპორტის საწარმოებლათ 4500 ჩერვონცი.

— **ამიერ-კავკასიის საფოსტო ნიშნები.** ა.-კ. სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა ა.-კ. საფოსტო ნიშნების პროექტი.

საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმში.

— **სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს დანიშვნა.** საქ. ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეთ დანიშნა ამხ. ჟოჟიკაშვილი.

— **შრომის კანონის დარღვევისათვის.** ამავე პრეზიდიუმმა დაადგინა არ გავრცელდეს 25 თებერვალს ამნისტია მოქ. ბახჩოევზე შრომის კანონების დარღვევისათვის.

— **ბანდიტებთან მებრძოლების დაჯილდოება.** პრეზიდიუმმა დუშეთის მაზრაში ბანდიტებთან თავგანწირულ და ნაყოფიერ ბრძოლისათვის, წითელი ორდენებით დააჯილდოვა შემდეგი ამხანაგები: 1) ი. ტალახაძე, 2) ბიაზი, 3) ალბოლაძე, 4) სანიკიძე, 5) ვ. კალაძე, 6) ფ. დოოს, 7) ლორთქიფანიძე, 8) პ. ჩეკოვ, 9) დ. შენგელია, 10) იაუნზევ, 11) მდივანიშვილი, 12) მ. დავითაშვილი, 13) მანსვეტოვი, 14) პ. კოვალევ, 15) კასსინსკი, 16) ი. ჩერნი, 17) ა. ისაკულოვ და 18) კოზლოვ.

განათლების კომისარიატში.

— **ჰაეროსტატების აშვება.** საქართველოს ობსერვატორიის ჰაეროლოგიური განყოფილება, ამ დღეებში სისტემატიურათ დაიწყებს აშვებას თოკზე მიბმულ ჰაეროსტატებისას თვით მწერელი მანქანებით—ჰაეროლოგიურ მოვლენებათა გამოსაკვლევათ.

— **მასწავლებელთა რიცხვის გამრავლება პროვინციებში.** სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის სასკოლო განყოფილებამ დაადგინა; პროვინციების სკოლებში სწავლების [illegible]ლობისათვის, მომავალ სამოსწავლო წლიდან გამრავლებულ იქნეს მასწავლებელთა რიცხვი.

— **მოსწავლეთა ჯარში გაწვევის ვადის გადადება.** განათლების კომისარიატმა, განათლების განყოფილებებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომ თანახმად სახ. კომ. საბჭოს დადგენილებისა—საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეებს სწავლის დასამთავრებლად ჯარში გაწვევის ვადა გადაედოთ, პირველათ—სწავლის დამთავრებამდე, ხოლო, მეორეთ—26 წლის ჰასაკამდე.

კოოპერაცია.

— **კოოპერაციის საერთაშორისო დღე.** 7 ივლისს ტფილისში გაიმართება კოოპერაციის საერთაშორისო დღე, ამ დღეს კოოპერატიული დაწესებულებები მოწყობილი იქნებიან სადღესასწაულოთ. ქალაქის სხვადასხვა რაიონებში გაიმართება ლექციები კოოპერაციის მნიშვნელობაზე, სალამოები და სხ.

— **„მუშათა კოოპერატივის ქუჩა“** კოოპერაციის საერთაშორისო დღესასწაულის მომწყობ კომისიამ შუამდგომლობით მიმართა ქალ. აღმასკომს, რათა კირკის ქუჩას დაერქვას: „მუშათა კოოპერატივის ქუჩა“.

რკინის გზაზე.

— **ფქვილის მიღება.** რკინის-გზის კოოპერატივმა მიიღო ფქვილი, რომელიც განაწილებული იქნება რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს შორის.

— **ჰაეროპლანი „ბოლშევიკი“.** „ზაკტპო“-ს თანამშრომლებმა საერთო კრებაზე დაადგინეს შეაგროვონ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს შორის შემოწირულება საკუთარი ჰაეროპლანის შესაძენათ რომელსაც დაერქმევა „ბოლშევიკი“.

— **მაღაზიის გახსნა ნაძალადევში.** საერთაშორისო კოოპერატივის დღეს (7 ივნისს) ნაძალადევში „ზაკტპო“ ხსნის რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეებისათვის უნივერსალურ მაღაზიას.

— **პენსიონერების საყურადღებოთ.** ამიერ-კავკასიის რკინის-გზების მუშა-მოსამსახურეთა დამზღვევი კასის კომიტეტი წინადადებას აძლევს იმ პენსიონერებს, რომლებიც არ გამოცხადდნენ შესამოწმებლად საექიმო საკანტროლო კომისიაში, უსათუოდ გამოცხადდნენ საკანტროლო საექიმო კომისიაში: სამტრედიაში—20 და 21 ივლისს 1923 წ. და ბათომში 22 და 23 ივლისს 1923 წ. შესამოწმებლად.

თუ არ გამოცხადდებიან ზემოხსენებული პენსიონერები, მათ პენსია ექნებათ შეწყვეტილი.

გამომცემლობა.

— პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს წიგნის მაღაზიაში მიღებულია და იყიდება წიგნი „მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი“ ქართულსა და რუსულ [illegible] გამოცემა „წითელი წიგნის“.

სხვა და სხვა.

— **ჩათახის ქარ[illegible]ლით მომარაგება.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საქართველოს უმაღლეს ხელისუფლების წინაშე, რათა გაღებული იქნეს საგრძნობი თანხა ჩათახის ქარხნის ნედლი მასალით უზრუნველსაყოფათ.

— **დახმარება ინვალიდებს.** წითელი ლაშქრის მომხმარებელმა საზოგადოებამ ინვალიდების არტელს შესწირა 150 მილიონამდე ღირებული ხე-ტყის მასალა, პლეხანოვის პროსპექტზე კლუბის მოსაწყობათ.

— **სამკურნალო დაწესებულებათა რევიზია.** ჯანმრთელობის კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილება ამ ჟამად აწარმოებს ტფილისის სამკურნალო დაწესებულებების აღრიცხვასა და რევიზიას.

— **ტრამვაის მუშაობა ივნისში.** ივნისის პირველ ნახევრის განმავლობაში ტრამვაის მუშაობით შემოვიდა 44,784,774,000 მან. დაიხარჯა—41,667,066,000 მან. წმინდა მოგება დარჩა 3,117,700,000 მან.

უმუშევრები.

— **უმუშევრები.** 4 ივლისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—523 უმუშევარი, ჩაეწერა—110, გაიგზავნა სამუშაოზე 69.

გარბიან მენშევიკურ პარტიიდან

სტამბის მუშები.

ჩვენ, ქვემოდ ამაზე ხელისმომწერნი, ყოფილი მენშევიკები—№ 1 სტამბის მუშა-მბეჭდავები ვაცხადებთ, რომ დღეიდან ჩვენ ვსწყვეტთ ყოველგვარ კავშირს მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონურ პარტიასთან და ფიცსა ვსდებთ მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ საბჭოთა ხელისუფლების კეთილდღეობას. მჭედლიშვილი ალექსანდრე, ტატიევი ი. ა. ვადაჭკორია ლუკა, სოლოდოვნიკოვი ივანე ბეჟანიშვილი აბრამი, პავტოვი თედორე არეშიძე სოლომონი, შაუტაშვილი ესტატე ფერაძე ვასილ.

ყოფილი მენშევიკები.

ჩვენ, ყოფილი მენშევიკები, ვაცხადებთ შემდეგს:

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დაგვანახვა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო მუშათა კლასის მოღალატე და თავის არსებობის 3 წლის განმავლობაში არავითარ ნაბიჯებს არ სდგამდა მუშათა კლასის ინტერესების დასაცავათ, ის, პირიქით, იცავდა მემამულეების და სასულიერო წოდების ინტერესებს. იმ დროს, როდესაც რუსეთის პროლეტარიატი იბრძოდა დენიკინ კოლჩაკის კონტრ-რევოლიუციონურ არმიის წინააღმდეგ, მენშევიკები აქტიურ დახმარების ნაცვლად იღებდენ ყოველგვარ ზომებს, რათა სისხლში ჩაეხრჩოთ ოქტომბრის რევოლიუცია.

მაგრამ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და რუსეთის მუშებმა და გლეხებმა დაასამარეს მენშევიკური კონტრ-რევოლიუცია და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც არა სიტყვით, არამედ საქმით იცავს მუშების და გლეხების ინტერესებს.

გამოვდივართ რა ამ მოსაზრებიდან, ვსტოვებთ მენშევიკურ პარტიას და მხარს უჭერთ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც იცავს მუშების და გლეხების ინტერესებს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

კალანდარაშვილი დიმიტრი —ინტელიგენტი. (1905 წ.) ბოლქვაძე გიორგი—მუშ. ასოთ-ამწყობი (1903).

— მე ვიყავი მენშევიკური პარტიის წევრი ბოლშევიკების შემოსვლამდე. გადატრიალების შემდეგ თანავუგრძნობ ბოლშევიკურ პარტიას.

გიორგი რუხაძე.

1907 წლიდან მე ვემხრობოდი საქართველოს მენშევიკურ პარტიას, დღეიდან ვტოვებ მას და თანავუგრძნობ საბჭოთა ხელისუფლებას.

ალექსანდრე გავრიილოვი.

ხელოვნება

სიმფონიური ორკესტრის კონცერტების გახსნა.

განათლების სახალხო კომისარიატმა მოაწყო საზაფხულო სიმფონიური კონცერტები; კონცერტები ზაფხულის განმავლობაში და საზამთრო მუსიკალური სეზონის გახსნამდე მორიგეობით მოწყობილი იქნება მუშათა ცენტრალურ კლუბებში.

ბაღის სიდიდე საშუალებას აძლევს ფართო მასებს მოისმინოს კონცერტები. კონცერტებზე შესავალი ბილეთების ფასის სიმცირე და საქმის სერიოზულად დაყენება ხელს უწყობს ამას. ესტრადა ორკესტრისათვის ვერ არის შესაფერისად მოწყობილი. ის დიდი არ არის და მრავალიცხოვანი ორკესტრი (60 კაცი) ძლივს ეტევა; ინსტრუმენტები ერთმანეთს ეკვრიან და ამის გამო ორკესტრის ხმა დახშული გამოდის. გამოდის გუგუნი; ამას გარდა podium-ი მეტად მაღალია და ხმას, როდესაც ის ესტრადის ჭერს ხვდება, არ შეუძლია მკაფიო სურათის გადმოცემა.

ორკესტრი შედგენილია საუკეთესო მუსიკალურ ძალებისაგან; მის შემადგენლობაში ჩვენ ვხედავთ ინსტრუმენტალურ მუსიკის სოლისტებსაც. ორკესტრის სათავეში ჯერ-ჯერობით სდგანან სახელმწიფო ოპერის დირიჟორები ფალიაშვილი და ბრონი, მათ თანაშემწეთ მოწვეულია მოქ. ნეიმანი. სეზონის განმავლობაში გამოვლენ სიმფონიური ორკესტრების ცნობილი დირიჟორები. ასახელებენ კომპოზიტორ გლაზუნოვს, კაპელმეისტერებს კუპერს, მალკოს და შტეინბერგს. ყველა ეს, რასაკვირველია, უზრუნველყოფს კონცერტების წარმატებას. ორკესტრი დაუკრავს ყოველ დღე; კვირაში ერთხელ პროგრამა შედგენილი იქნება წმინდა სიმფონიურ ნაწარმოებებიდან. კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ფორტეპიანოსა და ვოკალური ლიტერატურის სოლისტებიც.

პირველი დღის პროგრამას არ ჰქონდა წმინდა სიმფონიური ხასიათი, მაგრამ მაინც შედგენილი იყო სერიოზულ საორკესტრო ლიტერატურის ნაწარმოებებიდან. ბეთხოვენის უვერტიურა „ეგმონტი“ კარგად იყო შესრულებული. მოქ. ფალიაშვილმა ხაზი გაუსვა გმირულ მომენტებს და ფინალს (ეგმონტის სიკვდილი). ეფფექტიურად შეასრულა ორკესტრმა ბალეტის ნომრები გოლდმორკის ოპერიდან „სავის დედოფალი“; აქ ხაზგასმული იყო მუსიკის ეგზოტიური ხასიათი.

სრულებით დაუკმაყოფილებელი იყო მშვენიერი უვერტიურა გლინკას ოპერა „რუსლან და ლიუდმილა“-დან. ეს უვერტიურა რუსეთის საორკესტრო ლიტერატურის ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. გარდა მშვენიერ მელოდიებისა (4 თემა), რომელნიც მთელ უვერტიურაში არიან გატარებულნი—ინსტრუმენტოვკის

მუშათა ცხოვრება

მცხეთის დასასვენებელ სახლებში.

ხუთ მაისს, „კინო-პალასი"-დან მივიღე ერთი თვით შვებულება და თხოვნა მივეცი რაიკომს იმის შესახებ, რომ ჩემთვის მოეცათ, რომელიმე დასასვენებელ სახლებში ადგილი. რაიკომმა ჩემი თხოვნა გადააგზავნა ხელოვნების კავშირში და მივიღე ნებართვა საერთო წესით—ორი კვირით მცხეთის დასასვენებელ სახლებში ადგილი. უნდა ითქვას, რომ აქ ჩამოსულ მუშებს დიდი შეღავათი ეძლევათ ყოველ მხრივ: ჭამა და სმა სრულიად საკმარისია—დილით გვეძლევოდა ჩაი პურით და ყველით. 11 საათზე ერთი „კრუშკა" რძე, ანუ მაწონი, სამ საათზე სადილი—ორი კერძით და თეთრი პურით. საღამოს ვახშამი ხორცით, ანუ ფლავი რძით და ცოტა ხნის შემდეგ ჩაი. რაც შეეხება გასართობებს, ეს ჩემს დროს არ იყო. მხოლოდ ამ დღეებში კინოც მოუწყვიათ. და შეიძლება ახლო ხანებში წარმოდგენებიც მოეწყოს. სამკითხველო უკვე დიდი ხანია მოწყობილია, სადაც ყოველ დღე გაზეთები მოდის—სხვადასხვა ენაზე. საწოლებიც რიგიანად განაწილებულია. საწოლებში სისუფთავე საუცხოვოთ დაცულია. იქ ყოფნით მომემატა რამოდენიმე გირვანქა, თავს ძალიან კარგადა ვგრძნობდი. საგრძნობლად მომემატა ჯანიც და ღონეც.

დიდი კმაყოფილი ვარ სახლის გამგის ამხ. ელბაქიანის და მის თანაშემწის ამხ. სოლომონის. ჩვენს მუშურ-გლეხურ მთავრობას უძღვნი ჩემს მუშურ მადლობას და უსურვებ მას გამარჯვებას მუშათა კლასის საბედნიეროდ. ვაშა, ჩვენს მუშურ ხელისუფლებას, რომ მან შესძლო მუშათა დასასვენებელ სახლების მოწყობა!

მუშკორი გ. მ—შვილი.

სახლის პატრონების ახალი ხრიკები.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

მე-9 უბანში კაჩუბეევის ქ. № 22 სახლის პატრონმა ელაგოვმა მოისურვა თავის სახლის განთავისუფლება საბჭ. მოსამსახურეთაგან შემდეგი გზით: ის უყენებდა მდგმურებს კატეგორიულ მოთხოვნილებებს, რათა მათ დაეცალათ ბინები, ვინაიდან ვითომდა მას ქონდა ნება დართული სათანადო დაწესებულებების მიერ სახლის დაქცევის და მისი შეკეთებისა ამ მიზნით ახადა სახლის სახურავის ერთ ნაწილი. ამავე დროს ნაწილობრივ განთავისუფლებულ ოთახებს დაუწყო დანგრევა. დანარჩენ საბჭ. მოსამსახურეებს ქუჩაში გაყრისთვის მიმართა სახალხო სასამართლოს, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან მიიღო ცივი უარი. სახლის დაქცევის სათანადო უფლების უქონლობის გამო. მიუხედავათ უფლების უქონლობისა, მოქ. ელაგოვმა უკანასკნელად დაცლილი ოთახიც კი დააქცია, რომელიც იყო დალუქული საბინაო განყოფილების მიერ. ასე მან დააქცია 3 ოთახი და 1 სამზარეულო. ტეხნიკურ კომისიამ გასინჯა ზემო-ხსენებული სახლი და პირადად გადასცა მოქ. ელაგოვს, რომ მის მიერ უნებართოდ სახლის დაქცევისთვის იგი მიიღებს მილიციის საშუალებით ტეხნიკურ კომისიის სათანადო მოწერილობას, რომელიც იძულებულ ყოფს ბოროტმოქმედ სახლის პატრონს, აღადგინოს ხელახლა მის მიერ დაქცეული სახლისნაწილები. ამ გვარად თუმც სახლის პატრონმა, ელაგოვმა, მიზანს ვერ მიაღწია მაგრამ მაინც საჭიროა მიექცეს სათანადო ყურადღება ამ გარემოებას, რათა სახლის პატრონმა თავის ნებით დაქცეული სახლის ნაწილები, თავისივე ხარჯით დაუყოვნებლივ აღადგინოს. ეს კი იქნება მაგალითი ასეთი გაუსწორებელი სახლის პატრონთათვის, როგორც არის ელაგოვი, რათა ვერ გაბედონ ასეთი თვითნებობა მომავალში სხვა თავგასულ სახლის პატრონებმა.

მუშკორი ლომიძელი.

ამერიკულ კომიტეტის სასადილოში.

ამერიკულ კომიტეტს თბილისში აქვს რამოდენიმე სასადილო.

ამათ შორის მშვენივრად მოწყობილია მე 4 ამერიკული სასადილო.

იქ სადილს იღებს 680-მდე მუშათა ბავშვი. ბავშვები არიან 1-წლიდან 18 წლიან ასაკამდე.

სასადილოს მზრუნველობაზე აყვანილი ბავშვები, მეტად ღარიბი მოქალაქეთა შვილებია, მათში ურევია აგრეთვე სრულიად უპატრონონიც.

დასახელებულ სასადილოში ამერიკულ კომიტეტს მრავალმხრივი მშვენიერი მოწყობილობანი აქვს.

სასადილოსთან არის ბავშვთა ბაღი, სადაც ყოველ საღამოობით ღარიბ-ღატაკთა პაწაწა შვილები აწყობენ სეირნობას.

ამავე სასადილოს შენობაში, პატარა ბავშვებს აქვთ სათამაშო ნივთების სახელოსნო, სადაც ბავშვები დიდის გატაცებით ეკიდებიან „მეურნეობას."

სასადილოს უფრო სერიოზული სახელოსნოებიც აქვთ: სადურგლო და საზეინკლო, აქ უფრო მოზარდი ბავშვები ეჩვევიან ხელოსნობას.

ბავშვებს ყავთ მიჩენილი აღმზრდელები, რომელნიც მათ ასწავლიან ცეკვა-თამაშს და სიმღერებს.

თითოეულ ბავშვს ეძლევა ნახევარი გირვანქა თეთრი პური. სადილი კი ორ კვირაში მხოლოდ ერთხელ, ხორცით. დანარჩენ დღეებში უხორცო და ან ლობიოს სადილს ამზადებენ ბავშვებისათვის.

მუშკორი—ჩხმელი.

მუშათა ქრონიკა.

— **ვაგონი მუშა-მოგზაურთათვის** რკინის გზის პროფკავშირის პრეზიდიუმმა გზათა სამმართველოს სთხოვა, რათა მან კულტ-განყოფილებას მუშა მოგზაურთათვის 3 ვაგონი დაუთმოს.

— **მუდმივი დახმარება რკინის გზის მუშა-კურსანტებს.** რ. | გზის კავშირმა აირჩია კომისია მუშა-კურსანტებისთვის სტიპენდიების გეგმის გამოსამუშავებლად. სტიპენდიები დაენიშნებათ კურსანტებს და ტეხნიკურ მომუშავეთ, რომელთაც სწავლა არ დაუსრულებიათ.

— **სახლების შეკეთება.** რკინიგზელებმა დაარსეს საბინაო—საალმშენებლო ამხანაგობა, რომლის მიზანია სახლების შეკეთება და საბინაო საკითხის ირგვლივ მუშაობა.

— **მუშათა ფაკულტეტი.** მომავალ სამოსწავლო წლიდან მუშფაკზე მიიღება პროფკავშირის 300 წევრი. კულტ-განყოფილებამ უკვე მოახდინა ადგილების განაწილება.

— **ფიზიკური კულტურა და მუშები** კავშირების კულტგანყოფილების გამგეების თათბირმა, გადასწყვიტა შეუდგეს მუშებში ფიზიკური კულტურის საქმის მოგვარებას. განზრახულია ყველა ქარხანასთან და დაწესებულებასთან მოეწყოს ფიზიკური ვარჯიშობის უჯრედი.

ამ მიზნით კულტ-განყოფილება მჭიდრო კავშირს იქონიებს „სპარტაკი"-ს ორგანიზაციასთან, რომელიც მიაწოდებს უჯრედებს საჭირო ხელმძღვანელებს.

მხრივ ის საუცხოვოდ არის აშენებული, მისი ორკესტროვკა კოლორიტულია. ყველაფერი ეს ორკესტრის შესრულებაში არ ჩანდა; არ იყო არც მელოდიების ნათელი სურათი (მაგალითად ვიოლინოების თემა solo). არც ნიუანსები—რიტმი ქანაობდა, tempo მეტად ჩქარი იყო აღებული.

თუ დამაკმაყოფილებლად ვიცნობთ იმ თემების შესრულებას, რომელნიც ზამთრის პეიზაჟებსა და ატმოსფერულ მოვლენებს ასურათებენ (წვიმა, სეტყვა), მაშინ ძნელი იქნება დამაკმაყოფილებლად ვიცნოდ ის თემები, რომელნიც გაზაფხულის ბუნებას ასურათებენ (ვალსი). „ლეკური"-ც ოპერა „აბესალომ და ეთერი"-დან დაუმთავრებელი გამოვიდა.

ჭიანურისა და ვიოლინოს მელოდიებს სჭარბობდა ჩასაბერი ინსტრუმენტები. ჩაიკოვსკის იტალიანურ Kanpurrio-ს შესრულება მშვენიერი იყო პირველ ნაწილში.

კარგი იყო სახელმწიფო ოპერის მსახიობის კრიჟანოვსკის მიერ რომანსების მთელი რიგის შესრულება. საჭიროა ესტრადის წინ სეირნობის შეწყვეტა შესრულების დროს.

მუსიკოსი.

სახალხო სახლში.

(სეზონის დახურვის გამო).

სახალხო სახლში მთელი სეზონის განმავლობაში ხშირი ყოფილა მაგალითი გამოცხადებულ აფიშაში პიესის მაგივრად, დაედგათ უცბათ „შეთითხნილი" რა!? ამისთანა შემთხვევებისათვის მზათ ქონდა ხოლმე დირექციას **„სიძე სიმამრი" ან და „სტუმარ-მასპინძლობა"**. აი ამ ორი პიესით უცბად შეიძლება ხოლმე გამოცხადებული პიესის შეცვლა, რაც უკმაყოფილებას ბადებდა მუშათა აუდიტორიაში და ასეთი შემთხვევები წინათაც ყოფილა—ამ სეზონში კი გადაჭარბებით ხშირად ხდებოდა.

8 ივნისს, სახალხო სახლის ქართული დასის გამგეობის მოქმედებამ, ყოველ ზომას გადასცილდა თვისი უდიერი მოქცევით საზოგადოების მიმართ.

ამ დღეს აფიშაში გამოცხადებული იყო ირეთელის საღამო, (**„ქრისტინე"**) და საკონცერტო განყოფილება.

ამ დღეს „ქრისტინე"-ს მოლოდინში 2 საათმა განვლო. ათი საათი სრულდებოდა, როდესაც წარმოდგენა დაიწყო. გათავდა 2 მოქმედება და გამოვიდა ერთი მსახიობთაგანი და განაცხადა „ტეხნიკური მიზეზებისა გამო მე 4 მოქმედება არ წავა"-ო, რისთვისაც გამგეობა ბოდიშს იხდის საზოგადოების წინაშე"-ო და ამით დირექციამ გაათავა წარმოდგენაც და კონცერტიც.

საკვირველია, ასეთი განცხადების მიღება, მაგრამ **„კონცერტული განყოფილება"** რაღა იქნა, აღარც უკანასკნელი მოქმედება, აღარც კონცერტი"?! რასაკვირველია ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში.

მე არ მესმის, რას ნიშნავს ასეთი საქციელი და საზოგადოების ასე აბუჩად აგდება? ეტყობა რომ დასის დირექტორი კარგად ვერ „დირექტორობს". ასეთი საქციელი დაუშვებელია და ასაღელვებელია.

საჭიროა ასეთ არანორმალურ მოვლენებს ყურადღება მიექცეს, საერთოდ აქ ვერა და ვერ იქნა მოწესრიგებული ქართული წარმოდგენების დროზე დაწყება და გათავება, ვერ იქნა დაცული დისციპლინა და წესიერება. კმარა ამდენი ცდა. ეხლა ჩვენ თეატრს ჩვენვე უნდა მოუაროთ.

მუშკორი ე.

— **თეატრების შეკეთება.** რუსთაველის და სახ. პატარა თეატრების შესაკეთებლათ ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ, გადასდო 11 მილიარდი მანეთი. თეატრების შეკეთება დაიწყება ამ დღეებში.

— **ჰოვანეს თუმანიანის ნაწერების გამოცემა.** ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ ჰოვანეს თუმანიანის ნაწერების გამოსაცემათ, გადასდო 3,430 ჩერვონცი.

— **სახელოვნო კომიტეტის რეორგანიზაცია.** განათლების კომისარიატის დადგენილებით, განათლების კომისარიატთან დღემდე არსებულ სახელოვნო კომიტეტის რეორგანიზაციის გამო, განათ. კომისარის დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით შესდგა სახელოვნო კომიტეტი ახალი ფუნქციებით და შემდეგი შემადგენლობით, თავმჯდომარის მოადგილეებათ: გრიგოლ რობაქიძე და ს. ქურიძე, წევრებათ: ვლ. სვიმონაშვილი, მელ. ბალანჩივაძე, პროფესიონალურ კავშირების კულტგანყოფილების გამგე ლ. რუხაძე, ვასილ იგნატოვი და ხელოვანთა კავშირის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

— **სახელოვნო კომიტეტის განყოფილების გამგეთა დანიშვნა.** კომისარიატის დადგენილებით დაინიშნენ: ლიტერატურული განყოფილების გამგეთ—ს. ქურიძე, მოსახვითი ხელოვნების გამგეთ—გრ. რობაქიძე, პოლიტიკურ განმანათლებელი განყოფილების გამგეთ—ვ. იგნატოვი, თეატრალური განყ. გამგეთ—ვ. სვიმონიშვილი და მუსიკალურ განყ გამგეთ—მ. ბალანჩივაძე.

პროვინციაში

თიანეთის მაზრა.

სახალხო სახლი თიანეთში. თიანეთის სამაზრო პატარა ქალაქმა სხვა თვის მზგავს ქალაქებთან შედარებით კულტურულ სფეროში ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და ღირს შესანიშნავი ნაბიჯი გადასდგა. სახალხო თეატრის აშენებით მან უზრუნველჰყო თავისი მომავალი კულტურული წინსვლა, რომელსაც აუცილებლათ დიდი მნიშვნელობა ექნება არამც თუ ადგილობრივ მცხოვრებთა არამედ მთელი მაზრის მცხოვრებთა, განვითარებისთვის პროლეტარულ შეგნების სოფლად შეტანის საქმეში. თიანეთის სახალხო თეატრი აშენებული არის მთლიანი შრომის სკოლის მახლობლად მეტად მოხერხებულ ადგილას და შეიცავს სივრცით 120 კვადრატიულ საჟენს. მისი აშენების ინციატივა ეკუთვნის მაზრაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. სერგო სურგულაძეს. ადგილობრივ ამხანაგების დახმარებით თეატრის აგება დაიწყო 1922 წ. თებერვალში და ამჟამათ დამთავრებულია; აკლია დეკორაციები და სხვა სცენის მოწყობილებანი. მის აშენებაზედ მაზრაღმასკომმა გაიღო ერთი მილიარდი მანეთი, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ ნახევარი მილიარდი მანეთი, ცეკამ 550.000.000 და ადგილობრივი შემოწირულებანი იყო ასი მილიონი მანეთი. სახალხო თეატრი არის ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობაზე, რომლის საზეიმო გახსნა დანიშნული არის ა. | წ. 21 ივლისს. იმედი არის, რომ განათლების კომისარიატი და მთავარ-პოლიტგანათლების განყოფილება კვლავ დაეხმარება თიანეთის სახალხო თეატრს სცენისათვის საჭირო ნივთების და ავეჯეულობის შეძენაში, სუფსიდის გაღებით.

სახალხო თეატრის გახსნის ზეიმის ჯეროვანად ჩასატარებლად და თეატრის ყოველ მხრივ მოსაწყობათ, ამორჩეული არის კომისია შემდგარი ცხრა კაციდან, 1) დ. ბრაგვაძე 2) დ. სალაყაია 3) ვ. ჯიბლაძე 4) ს. დოლიაშვილი 5) ლ. ჩიბალაშვილი 6) თევზაძე 7) მ. ყაყიჩაშვილი 8) ს. გონჯილაშვილი და 9) მ. ბოძაშვილი. კომისიამ აირჩია და გაგზავნა ქ. თბილისში ამხ. დ. ბრაგვაძე თეატრის საჭირო ნივთების შესაძენათ. თეატრის გახსნის დღეს მოწვეულია თელავიდგან ორკესტრი და ცენტრიდან ამხანაგები. დაგზავნილ იქნება საპატიო ბილეთები.

სამოქალაქო გადასახადი და მოსავლიანობა თიანეთის მაზრაში. ა. | წ. 28 ივნისისათვის დამთავრებული არის სამოქალაქო გადასახადის გაწერა მთელ თიანეთის მაზრაში. გადამხდელთა რიცხვი უდრის 4.400 კომლს და მთელი სამოქ. გადასახადის განაკვეთი გამოიხატება 1.700.000.000 მანეთში. ზოგიერთ რაიონებში კიდეც შეუდგნენ გაწერილი გადასახადის აკრებას, მაგალითად ახმეტის, ფშავ-ხევსურეთის და ართან-თიანეთის რაიონებში.

წლევანდელი წლის მოსავალი ჯერჯერობით კარგს იმედს ვერ იძლევა ხშირი წვიმების გამო. წინასწარ ძნელი არის იმის თქმა თუ რით მოუხდება თიანეთის მაზრას ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდა ნატურით თუ ფულად.

დ. ბ.

საშუალო სასწავლებელი კურსებში (ქუთაისის მაზრა)

ამას წინეთ გადაწყდა კურსების თემში საშუალო სასწავლებლის დაარსება. ადგილობრივი გლეხობა აღფრთოვანებით ეგებება ასეთ სიმპატიურ გადაწყვეტილებას და ვისაც რით შეუძლია მზად არის ხელი შეუწყოს მის ცხოვრებაში განხორციელებას. ღარიბ-ღატაკ გლეხკაცობას კარგად ესმის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივად სასწავლებლის გახსნას. დუხჭირი ეკონომიური პირობების წყალობით მას საშუალება არ აქვს მოაცილოს თავისი შვილი ოჯახის კერას და მისცეს შორეულ სასწავლებელში, ეხლა კი მას საშუალება ეძლევა ადგილობრივ მოამზადოს თავისი შვილები მომავალ ცხოვრებისათვის. სამწუხაროთ აქ პატარა უთანხმოებამ იჩინა თავი; სასწავლებლის გახსნის ნებართვა გაცემულია კურსების თემის სახელზე, ამით ზოგიერთები სარგებლობენ, საკუთრივ პატარა სოფელს კურსებში სურთ სასწავლებლის გახსნა, რაც სრულებით დაუშვებელია, სასწავლებელი უნდა გაიხსნას თემის უმრავლესობისთვის მისაწდომ ადგილას. ასეთი არის კურსების (ორპირის) ბაქანის მიდამო და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს სოფ. კურსები. მხოლოდ ამ შემთხვევაში დადგება სასწავლებელი მკვიდრს ნიადაგზე და თავის დანიშნულებასაც ამ კუთხის მიმართ წარმატებით შეასრულებს—წინააღმდეგ შემთხვევაში მას არავითარი ნიადაგი არ ექნება. იმედი გვაქვს, რომ მცხოვრებთა უმრავლესობის სურვილს ანგარიში გაეწევა ვისგანაც ჯერ არს.

კოკელი.

ქართველ-უდინების საქართველოში გადმოსახლების გამო

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ ნება დაგვრთოთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადოთ შემდეგი:

ა. წ. 3 ივნისს საქართველოში ახლად გადმოსახლებულ ქართველ-უდინთა სასარგებლოთ სახელმწიფო ოპერის თეატრში უდინთა დამხმარე საზოგადოების მიერ გამართული იქმნა საღამო, რომლის საერთო შემოსავალი უდრიდა 803.060.000 მანეთს.

აქედან საღამოს მოსაწყობად დაიხარჯა 232.609.000 მან.

დარჩა წმინდა შემოსავალი 570.451.000 მან.

ამ თანხაში შედის შემოწირულებანი შემდეგი დაწესებულებებისაგან და პირებისაგან: წითელ-ჯვრის საზოგადოებისაგან 37.467.000 მან.; მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატისაგან 10.000.000 მან.; ლადო ტატიშვილისაგან 10.000.000 მანეთი, მირიან ბურჭულაძისაგან 5.000.000 მან, ლავრენტი ცუცქირიძესაგან 900.000 მან. და მოქ. დათეშიძესაგან 700.000 მან.

ამ საღამოსთან დამოუკიდებლათ შემოწირეს უდინთა სასარგებლოთ საზოგადოების მიერ შემოღებულ ქვითარების წიგნაკების საშუალებით: სახელმწიფო ოპერის არტისტებმა და თანამშრომლებმა 22.000.000 მან., სხვა და სხვა პირებმა მოქ. ისიდორე ვარაზაშვილის ხელით 91.000.000 მან., და ერთი ოსმალური ქაღ. ლირა. სხვა და სხვა პირებმა მოქ. არჩილ მდივნის ხელით 5.790.000 მან., ზ. სილიკაშვილის ხელით 7.000.000 მან., მ. ბერიძის ხელით 2.000.000 მან., ა. ბჟიაშვილის ხელით 4.800.000 მან. განათლების სახალხო კომისარიატის თანამშრომლებისაგან 43.363.000 მან.. სხვა და სხვა პირებმა მოქ. იასონ ლორთქიფანიძეს ხელით 13.000.000 მან. და წინანდლის სახელმწიფო მამულის მუშა-მოსამსახურეებისაგან 28.520.000 მან.

ამას გარდა არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი ყურადღება და დახმარება, რომელიც ახლად გადმოსახლებულებს აღმოუჩინეს:

ამხ. **ვანო ხტურუამ**, როგორც მიწად-მოქმედების სახალხო კომისარმა და სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა, საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოებამ და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა.

ამხ. **ვანო ხტურუამ** სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტიდან გასცა ერთი ამერიკული „ტიუკი" ტანსაცმელი, 200 ფ. ხორბალი, 25 ყუთი კონსერვები წონით 68 ფ. 10 გირ., 500 წყვილი რუსული დაქსოვილი ქალამნები, ერთი ტომარა ნახმარი ფეხსაცმელები და 300.000.000 მან. ფულით. მანვე მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის საშუალებიდან გასცა კრედიტათ ერთი პურის სალეწი მანქანა 12 ძალიანი, ერთი 16 ძალაინი მოტორი, ერთი სათიბი მანქანა, ერთი ცხენის ფოცხი; ხუთი „საკის" სისტემის გუთანი, ორი ფარცხავი, ორი ნამგალი, ოცი ცელი, ოცი ცული და სხვა, სულ 6.699 ჩერვონულ მანეთათ ღირებული.

წითელ ჯვრის საზოგადოებამ შესწირა პატარა აფთიაქი და საცვლები. **ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა** რამოდენიმე ფუთი მედიკამენტები.

ამას გარდა სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტმა განთავისუფლა ზემოდ აღნიშნული საღამო დაწესებული საპროცენტო გადასახადისაგან, რითაც გააძლიერა საერთო შემოსავალი.

ყველა ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს და პირთ ქართველ-უდინთა დახმარე საზოგადოება და უდინების რწმუნებული უცხადებენ ულრმეს მადლობას დახმარებისათვის.

ქართველ-უდინთა დამხმარე საზოგადოების პრეზიდიუმი.

უდინთა რწმუნებული ზ. ხილიკაშვილი.

მადლობა

წერილი რედაქციის მიმართ.

ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ლადო სუხიშვილს, აღმასკომის კანცელარიის მმართველს ამხ. მიშა ფაღავას, აღმ. სამმართველოს განყოფილებას, ტფ. მილიციის უფროსს ამხ. სიმონ ხმალაძეს, მის თანაშემწეს ამხ. შალვა კილურაძეს, კანცელარიის უფროსს ამხ. გიორგი ქურხულს, საქმის მწარმოებელს ამხ. შალვა მელაძეს, 1. 2. 3. 4. 5. 7. 8. 9. 10. 12. სამილიციო რაიონების უფროსებს და მათ თანამშრომლებს, მათხოვრის სახალხო სახლის აღმაშენებელი საბჭო გულწრფელ მადლობას სწირავს სოფლად იშვიათ კულტურულ საქმისადმი თანაგრძნობისთვის და ტფილისში მათხოვრის სახალხო სახლის 300 ბარათის გავრცელებისათვის.

საბჭოს პრეზიდიუმი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

წესები

გადასახადის დადებისა იმ ქონებებზე, რომელთათვისაც განსაკუთრებით ხელსაყრელია ახალ საჯარო-საზოგადოებრივ ღონისძიებათა განხორციელება.

ა. | კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის და ა. | კ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი 1923 წლის აპრილის 2-ს თარიღით, განყოფ.—2, თავი—8, მუხლი—6, პუნქტი—8 (ქალაქებში) და მუხლი—2 (ქალაქ გარეთა ადგილებში).

1. გადასახადი ქონებებზე, რომელთათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია ახლად დაწყებულ ღონისძიებათა განხორციელება, შეიძლება დაწესებულ იქმნეს ადგილობრივის აღმასკომების მიერ გაწეულ ხარჯების დასაფარავად იმ შემთხვევაში, თუ იგი განახორციელებს ხანგრძლივი მნიშვნელობის რაიმე საჯარო ღონისძიებებს, როგორც არის ახალი ქუჩების გაყვანა, ან ძველის, საფუძვლიანად შეკეთება, ახალი ქვაფენილების და გზატკეცილების გაკეთება, ან ძველის, საფუძვლიანად შეკეთება, წყალსადენის გაყვანა, არხის გაყვანა, ქუჩების განათება, შარაგზების გაკეთება, მელიორაცია, ელექტროფიკაცია და სხვა.

2. წინა მუხლში აღნიშნული გადასახადი უწევს ყველა, შემდეგს მუხლში ნაჩვენების გამოკლებით, ქონებას, მფლობელობას და შენობას, რომელთათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია წინა მუხლში აღნიშნული ღონისძიებანი, ვის მფლობელობასა და სარგებლობაშიაც, უნდა იყოს ეს ქონებანი.

3. გადასახადისაგან თავისუფალნი არიან—შენობები, რომელნიც ჯარების ნაწილების სარგებლობასა, ან მფლობელობაშია და რომელსაც სახელმწიფოებრივ დაწესებულებათაგან სახელმწიფოებრივ ბიუჯეტის სახარჯთ-აღრიცხვო წესით ფული ეძლევათ, შენობები, ან მისი ნაწილები, რომელიც ჯარების ნაწილებს და სამხედრო დაწესებულებებს უჭერიათ და ან განსაკუთრებით მათ სახმარებლათ არის დანიშნული.

4. ცალკე ქონებათა, მფლობელობათა და შენობათათვის გადასახადი განისაზღვრება ან სხვადასხვა რაოდენობით იმის მიხედვით, თუ რამდენად უფრო მეტად ხელსაყრელია მისთვის ახლად განხორციელებული ღონისძიება; და ან ერთნაირის რაოდენობით იმის მიხედვით, თუ რა ღირებულება, ან შემოსავალი აქვს ქონებას, რა სივრცე აქვს მფლობელობის ფასადს, რამდენი სივრცე უჭერია და ან თუ რომელიმე სხვა ნიშნები აქვს, ადგილობრივ პირობათა და ღონისძიებათა ხასიათის მხედველობაში მიღებით.

5. დაბეგვრილ ქონებებზე შეწერილ გადასახადის საერთო ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელებაზე გაწეულ ხარჯების ჯამს.

შენიშვნა: გადასახადი დაწესებულ უნდა იქმნას, გაწეულ ხარჯების რაოდენობის მიხედვით, ერთის, ან რამდენიმე წლით.

6. აღმასკომის მიერ დაწესებულ გადასახადის რაოდენობა ყოველს ცალკე შემთხვევაში დამტკიცებულ უნდა იქმნეს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

7. დაწესებული და ზემოხსენებულ წესით დამტკიცებული, გადასახადი გადამხდელებმა აღმასკომის კასაში უნდა შეიტანონ ერთის თვის განმავლობაში მათთვის განაკვეთის გამოცხადების დღიდან.

შენიშვნა: გადასახადის რაოდენობა ქალაქებში არ უნდა აღემატებოდეს შენობებზე დადებულ იმავე წლის გადასახადის რაოდენობას (სიის პირველი მუხლი).

8. წინა მუხლში ნაჩვენებ ვადაზე შეუტანელი გადასახადი ნარჩენად უნდა ჩაითვალოს და გადახდევინებულ უნდა იქმნეს საურავის ზედშეწერით და გადახდევინების იძულებით ზომების მიღებით, თანახმად საფუძველთა, რომელიც დაწესებულია დებულებით გადასახადებისა და ხარკების აკრების შესახებ.

9. ვადის გაგრძელება, გადასახადის ნაწილობრივად გასტუმრების უფლების მიცემა, პატიება და მიღებულ გადასახადის უკან დაბრუნება სწარმოებს თანახმად საერთო საფუძველთა, რომელიც განსაზღვრულია წესებით ადგილობრივ გადასახადებისა და ხარკების ვადის გაგრძელებისა, ნაწილობრივად გადასახადის გასტუმრებისა, პატიებისა და მიღებულ გადასახადის უკან დაბრუნების შესახებ.

ა. | კ. ფინანსთა სახალხო კომისარი: **თუმანოვი.**

ა. | კ. ფინან. სახ. კომისარიატ. კოლეგ. წევრი: **ერქომაიშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის 1-ლი და 2-რე რაიონის უჯრედების მუშაობის გამოსარკვევად მობილიზაციის წესით მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: 1) ელისაბედაშვილი, 2) მისკინი, 3) გოგიშვილი, 4) ქორიძე, 5) გენკინი, 6) მიხაილოვი, 7) პენიაკოვი, 8) კარპი, 9) თუიშვილი, 10) რუხაძე, 11) მიქელაძე, 12) ვაჭაძე, 13) გურგენიძე, 14) ივანიანი, 15) ისმაილოვი, 16) ალაგერდიანი, 17) პოლისი, 18) ვანციანი არტ., 19) ნემიჩინოვი, 20) ავეტიკოვი, 21) მაშკევიჩი ზაქარია, 22) ბაზინჯაგიანი, 23) ვულფოვიჩი, 24) დეშევოი, 25) მორჩილაძე, 26) ათარბეკოვი, 27) ბერია, 28) ადამიძე, 29) ოგოროდნიკოვი, 80) ღოლობერიძე, 31) საბაშვილი მიხ. 32) ლევშიცი, 33) თარხნოვა, 34) ნოვიკოვი, 35) კარახანიანი, 36) კასიანი, 37) სურხატიანი, 38) ბაგიროვი, 39) ბუნიატზადე, 40) ავაქოვი, 41) ოკუჯავა ნ., 42) არნაუტოვი, 43) მელიქსეტოვი, 44) ამო, 45) სეროპიანი, 46) ეგიკოვი, 47) სტეპანიანი, 48) კარტულიანი, 49) რახმანი, 50) კოსტანიანი, 51) ადამიანი, 52) მაქსიმოვი, 53) სააკიანი აშოტ, 54) სოსიანი, 55) ფიალკოვსკი, 56) ხუტულაშვილი გ, 57) ხუტულაშვილი დ. 58) დანდუროვი, 59) ლობჟანიძე, 60) ტერ-არუთინოვი არშაკ.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რ უ ბ ე ნ ი.

— ყველა ქვემოხსენებულ ამხანაგებს: ლუკა ლომიძეს, ნიკოლოზ აბგაროვს, ვართან პეტროსიანს, და სერგო ქორიძეს, საქ. კომუნ. პარტ. ტფ. კომიტეტი წინადადებას აძლევს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ტფ კომიტეტის საალრიცხვო-სასტატისტიკო ქვე-განყოფილებაში. ვინც არ გამოცხადდება, აღრიცხვიდან იქნება მოხსნილი.

ტფ. კომიტ. მდივანი რ უ ბ ე ნ ი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი განმეორებით წინადადებას აძლევს ყველა ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საალრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილებაში.

1-ლ რაიონში:

1. ბარანაევი ალექსანდრე, 2. ენუქიძე.

2-რე რაიონში:

1. ლიახოვი გიორგი, 2. არსენტევი, 3. თუმანოვი ნიკოლოზ, 4. ივანოვ-კავკასიელი, 5. ვარდანიანი ფლორა, 6. მენაბდე აკაკი, 7. მანუკიანი სარქის, 8. ყურულაშვილი გიორგი, 9. კაზუმოვი ალექსანდრე, 10. მარგიშვილი გიორგი, 11. გინზბურგი აბრამ, 12. ჩაპლინი ნიკოლოზ.

3-მე რაიონში:

1. ტერტერაშვილი არშაკ, 2. გარიბოვი შმავონ, 3. თალიბლი ბეიუკ-აღა.

4 რაიონში:

1. ალესანდრია ვიქტორ, 2. ადამიძე თამარა, 3. ასლიბეკოვი მიხეილ, 4. ბათულავა ილია, 5. ვართანიანი ამო, 6. გეჩეჩიძე ვალიკო, 7. გოცირიძე სერგო, 8. ჯემარჯიძე გიორგი, 9. ძიძიგური ილარიონ, 10. ჯაფარიძე სერგი, 11. ერზიკიანი სურენ, 12. კოვინევი ნიკოლოზ, 13. კვერნაძე არჩილ, 14. კოლესნიკოვი გრიგოლ, 15. კვირივიშვილი ლევ., 16. ლინდელი ვასილ, 17. ლიპატოვი ვლადიმერ, 18. მშობელი მარკოზ, 19. რაძევიჩი ივანე, 20. სებშუკინი თედორე, 21. სტურუა ივანე, 22. ხარაბაძე გალაქტიონი.

ის ამხანაგები, რომელნიც არ გამოცხადდებიან მოხსნილი იქნებიან საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ანგარიშიდან, როგორც მექანიკურად გამოსულნი ორგანიზაციიდან.

ტფ. კომიტ. მდივანი რ უ ბ ე ნ ი.

საალ.-სასტატ. განყ. გამგე მ უ ლ ფ ო ვ ი ჩ ი.

— მე-4-ე და მე-2-ე რაიონის პოლიტიკურ წრეების მუშაობის გამოსარკვევად ტფილისის კომიტეტი მობილიზაციის წესით იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

— მე-4-ე რაიონისთვის: 1) ოკუჯავა მ., 2) სოლოღიანი არუტ., 3) [illegible] 4) გრიცენკო, 5) რაზმან, 6) ალაგარდიანი, 7) კოგანი, 8) [illegible] 9) [illegible] (კ. კ. სათლქო კომიტ.), 10) პენიაკოვი, 11) პადერინი, 12) სუროვენკოვი, 13) [illegible] 14) ბროდსკი, 15) გინზბურგი.

— მე-2-ე რაიონისთვის 1) ოკუჯავა კოლია, 2) პენიაკოვი, 3) ფროლოვი, 4) არუსტამოვი, 5) დუდუჩავა.

ყველა დასახელებული ამხანაგები ვალდებული არიან დაძახებისთანავე გამოცხადდენ სათანადო რაიკომში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რ უ ბ ე ნ ი

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 4 რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომში ა. | წ. 7 ივლისამდი ერთიანი პარტიული ბილეთების მისაღებად.

1) სტეპანოვი მიხეილ, 2) ცხომელიძე ფილიპე, 3) ნადირაძე ბესარიონ, 4) ჯიბლაძე ლავრენტი, 5) ცატუროვი არამ, 6) ფეტისოვი პანტელეი, 7) ტერ-ტეროვი ივანე, 8) ზვიაგინცევი აფანასი, 9) მურადოვი სურენი, 10) მუსიევი ტიგრანი, 11) მიხაილოვა დარია, 12) კოჩინევი პავლე, 13) მგელაძე ნინა. იმ ამხანაგების პარტბილეთები, რომელნიც აღნიშნულ დროზე არ გამოცხადდებიან, გადაგზავნილი იქნება საქართველოს კომპარტიის ცეკაში.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ ა რ უ ს ტ ა ნ ო ვ ი.

საალრიცხვო-სტატისტ. განყოფილ. გამგის მაგიერ ი ს ა კ ო ვ ი.

განცხადებები

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი
აქირავებს საზაფხულოდ ოთახებს, მარტყოფის მონასტერთან
(შეიძლება მოწყობილობითაც) თვალწარმტაცი მიდამო. მშვენიერი კლიმატიური სადგური.
ფასები ხელმისაწვდომია.
7-დან 15 მანეთამდე (ჩერვონცებით) თვიურად.
ცნობების მიღება შეიძლება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში. ოთახი № 48. (484—3—2)

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა
სამმართველო
აცნობებს
ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს და ცალ-ცალკე ბაღების მეპატრონეთ, რომელნიც დაინტერესებული არიან ხილისა და ბოსტნეულის გახმობაში, რომ მიმდინარე სეზონში ამიერ-კავკასიის ფარგლებში განზრახულია მოეწყოს
ხილისა და ბოსტნეულის გამხმობი
მატარებელის, ექსპლოატაცია რომელსაც ყოველგვარი საქარხნო მოწყობილება ექნება ნედლი მასალის მექანიკურად გადამუშავებისათვის (ალუბალი, ჰერამი, უნაბი, ატამი, ვაშლი, კარტოფილი, სტაფილო და სხვა ხილი და ბოსტნეული) გამხმარ პროდუქტებში.
1) ნედლი მასალა შეიძლება ჩაბარებულ იქნეს გადამუშავების ღირებულების გადახდით, მაგრამ არა უმეტეს ერთი მანეთისა თვითეულ ფუთ გამხმარ პროდუქტზე; იმ ხილისა და ბოსტნეულისათვის, რომელთა გასავალის პროცენტი დიდია, გადამუშავების ფასი შეიძლება თანაბრად შემცირებულ იქნეს.
2) გადამუშავების ფასი შეიძლება გადახდილ იქნეს თანაბარი ღირებულების ნედლი მასალით ან ნაწილობრივ ფულით და ნედლი მასალით.
3) შემკვეთელებს მთელი რიგი შეღავათებისა ეძლევათ ტრანსპორტიროვკისა, შენახვისა, რეალიზაციისა და ფრახტის გადახდაში, აგრეთვე ეძლევათ სესხი გადამუშავებულ პროდუქტის [illegible] იქნა
4) ტარის შეძენის სიაფესათვის, რომელიც და[illegible] დუქტის ჩასაწყობად არის საჭირო, ხილისა და ბოსტ[illegible] მობი მატარებელი ყუთების დასამზადებლად ღებულობს შეკვეთებს კლიენტებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მატარებელი იღებს შეკვეთებს აგრეთვე მორისა და ფიცრების დასახერხავად, ხმელ ხელსაწყობის რემონტისათვის და ხორბლეულ პროდუქტების დასაფქველად; ყველა ეს სამუშაოები შესრულებული იქნება მატარებელის დამხმარე მოწყობილობის საშუალებით; ყველა იმათ, ვისაც სურს მატარებელით სარგებლობა, წინადადება ეძლევათ თავის დროზე შეიტანონ განცხადება, რადგან შეკვეთების შესრულება ხდება რიგის წესით და იმ რაიონების შეთანხმებით, სადაც მატარებელმა უნდა იმუშაოს.
ცნობებისათვის უნდა მიმართონ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ სამსახურს (სადგურის ქ. № 1, მე-2 სართული, ოთახი № 57). (კრ. 473—5—4)

კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი
საპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ. კვირაობით 9—2 ს. დღის
ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 25—18

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენის დარბაზი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
[illegible] სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, კოროდანოვის ქ. № 20 (501—25—13)

ქ. ტფილისის მე-4 უბნის სახალხო მოსამართლე

(მუხრანის ქუჩა № 4)

აცხადებს, რომ ის ეძებს სასამართლოში გამოსაწვევად იბრაგიმ გუსეინ ოღლის, რომელიც არის მიცემული პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 154 მუხლის ძალით ალი გუსეინ ზადეს ცემის და დაშავების შესახებ. ამისათვის ვინც კი იცის მისი ბინადრობა, ვალდებულია შეატყობინოს მოსამართლეს ან ქვემდებარისამებრ მილიციას, რომ ის იქმნას დაკავებული და გადმოგზავნილი მე-4 უბნის სახალხო სასამართლოში. ბრალდებულის ნიშნები: შუატანზედ მაღალი, ოცდა თორმეტი წლისა, შავი თვალები, ცხვირი ზომიერი, შავგვრემანი, მარჯვენა ლოყაზედ აქვს ჭრილობის ნიშანიც შავ-თმიანი, ულვაშ გაკრეჭილი სპარსულად, ხელის თითები მოგრძო. (924—1—1)

დაკარგე პირადობის მოწმობა მუშა ტიგრან სარქისოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (921—1—1)

დაკარგე ვინაობის წიგნაკი და საანგარიშო წიგნაკი № 880, ენდვარდ თომას ძე აზირიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (922—1—1)

დაკარგე ტფილისის მაზრის მილიციის სახაზინო ბეჭედი. ჩაითვალოს გაუქმებულად. (კრ. 487—1—1)

დაკარგე უვადო პასპორტი გიორგი დავითის ძე დემეტრაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (919—1—1)

დაკარგე სახლის წიგნი, პიატიგორსკის ქუჩაზე მდებარე სახლის სალომე ოქროპირიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (920—1—1)

ს. „ზარია ვოსტოკა-ს" სტამბა, კრუზენშტეინის ქუჩა № 4